ვაცხადებთ კონკურსს საუკეთესო მზეთავზე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეცამეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, ხელმძღვანელი 10—56, მთ. კონტორის—8—31.

კვირა, 24 სექტემბერი 1933 წ. № 221 (3777)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

შესდგება 27 სექტემბერს ცენტ. კომიტეტის სხდომების დარბაზში

სხდომის დასაწყისი დილის 10 საათზე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ცენტრ. საკონტროლო კომისიის, ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის წევრები სხდომაზე შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები სპეციალური მოსაწვევი ბარათებით.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

ბუქსის წვის არც ერთი შემთხვევა—

ასეთია მოწინავე მზეთავების ლოზუნგი

მზეთავი-ყურადღების ცენტრში

რკინისგზის ტრანსპორტი, ჩვენი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ძარღვი, უნდა მუშაობდეს საათის მექანიზმივით. ამ ლოზუნგით ტარდება ბრძოლა სოციალისტურ ტრანსპორტზე რკინისებური დისციპლინის დამყარებისათვის, ხელმძღვანელობის გარდაქმნისა და ტვირთზიდვის გეგმის შესრულებისათვის. ეს ბრძოლა ახლა გადადის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, რადგან რკინისგზელთა ფართო მასები, პოლიტგანყოფილებათა ხელმძღვანელობით აქტიურად ირაზმებიან პარტიის და მთავრობის დადგენილებათა ბოლომდის განხორციელებისათვის და იშლება სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ახალი ტალღა.

ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები, რკინის გზის ტრანსპორტის იზოტოვები — **კუტაფინები და ნაგორსკები** — აი ვინაა ნამდვილი, თავდადებული და ენერგიული მებრძოლები ტრანსპორტის გარდაქმნისათვის, საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის და საკ. სახკომსაბჭოს დადგენილებათა რეალიზაციისათვის.

ყველა პროფესიას ჰყავს თავისი იზოტოვი, კუტაფინი და ნაგორსკი. ტრანსპორტზე ათასობით არიან თავდადებული მოწინავე დამკვრელები, თავისი საქმის ნამდვილი ენტუზიასტები და ოსტატები. „პრავდამ" გვიჩვენა ეს ადამიანები, გამონახა და საკავშირო ტრიბუნაზე წამოაყენა ისინი, გვიჩვენა მათი ბოლშევიკური მუშაობის მეთოდები, მათი გამარჯვების საიდუმლოება, რაც საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში მდგომარეობს. ასეთი მოწინავე ადამიანები მოიპოვებიან რკინისგზის ტრანსპორტის ყველა უბანზე. საჭიროა მათი გამონახვა, ჩვენება, მათი გამოცდილების გადაცემა ჩამორჩენილებისათვის, რომ სოციალისტური შეჯიბრების წესით, წინ წასულებმა დაეხმარონ ჩამორჩენილებს, რომ ჩამორჩენილები დაეწიონ წინწასულთ და ამგვარად, მივაღწიოთ საერთო წარმატებას.

რაში მდგომარეობს დისპეტჩერ კუტაფინის და მზეთავ ნაგორსკის გამარჯვების საიდუმლოება? იმაში, რომ ისინი შეგნებული რკინისგზელები არიან, კეთილსინდისიერად და პატიოსნად ეკიდებიან მინდობილ საქმეს, გულს შესტკივათ მისთვის, ცდილობენ საუკეთესო მუშაობის გადახალისებით, საქმით უპასუხონ პარტიის და მთავრობის დადგენილებებს. აი, ამ მოწინავე ადამიანების მაგალითზე უნდა აღვზარდოთ რკინისგზელთა ფართო მასები.

ამ მიზნით, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ რკინისგზის ტრანსპორტის ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურას — **მზეთავს.** ხშირი ავარიები და ბუქსების გადაწვა, რასაც ადგილი აქვს ტრანსპორტზე უმთავრესად გამოწვეულია მზეთავის ცუდი მუშაობით, მისდამი უყურადღებობით. თავის ისტორიულ გადაწყვეტილებაში რკინისგზის ტრანსპორტის მუშაობის შესახებ, საკ. კ.პ. (ბ) ცკამ და საკ. სახკომსაბჭომ სრულიად სამართლიანად აღნიშნეს, რომ „მზეთავებს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება; ძველი კვალიფიციური მზეთავები რკინისგზებმა დაჰკარგეს, მუშაობა მზეთავების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათი დიდი დენადობის მოსასპობად არ სწარმოებს; ამ უბრალო, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვან თანამდებობაზე არჩევენ ვინც შეხვდებათ. ხშირად იქ ძვრებიან პირდაპირი მტრები, თეთრგვარდიელები და კულაკები, რომლებიც პოულობენ შესაძლებლობას დაანგრიონ რკინისგზის მეურნეობის ყველაზე პასუხსაგები ნაწილი ვაგონი. სათოთქლმავლო და სავაგონო სახეს დიდი რაოდენობით იტაცებენ ადმინისტრაციის მხრით სრული უკონტროლობის მეოხებით. ვაგონები გზაში გაუზეთავი რჩება და უკეთეს შემთხვევაში მათ ხსნიან ხოლმე ბუქსის წვის გამო, ხშირად კი ეს იწვევს კატასტროფებს, მოძრავი შემადგენლობის და ტვირთის გაფუჭებას, ადამიანის მსხვერპლს და მოძრაობის შეჩერებას; ასეთ პირობებში, მზეთავი ფაქტიურად ხდება ავარიების და მარცხის ორგანიზატორად".

დროა ბოლო მოეღოთ ამ მდგომარეობას. მზეთავს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, მას უნდა დავეხმაროთ, ვასწავლოთ უკეთ მუშაობა, შევუქმნათ ყველა პირობა ნორმალური მუშაობისათვის. ამ მიმართულებით სათანადო გარდატეხა უნდა მოხდეს როგორც მზეთავთა, ისე ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის.

რკინისგზის ტრანსპორტს ჰყავს არა ერთი საუკეთესო მზეთავი. ასეთია დებალცევოს კვანძის მზეთავი ამხ. ნაგორსკი და მისი ბრიგადის წევრები, რომლებიც იძლევიან საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ნიმუშს. ქვეყნის ტრანსპორტის სავაგონო დეპოს მოწინავე მზეთავი ამხ. **ან. ფსუტური,** რომელსაც სამი წლის განმავლობაში არ ჰქონია ბუქსის წვის არც ერთი შემთხვევა. და რამდენი ასეთი უჩინარი, მაგრამ ერთგული მუშაკი გვყავს ტრანსპორტზე? ჩვენ უნდა მოვძებნოთ ეს ადამიანები, უნდა ვაჩვენოთ მათი სამაგალითო მუშაობა.

კონკურსმა საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე, რომელსაც „კომუნისტი"-ს რედაქცია აცხადებს, უნდა უზრუნველჰყოს რკინისგზაზე მოწინავე მზეთავების გამომჟღავნება, ჩამორჩენილების ამოძრავება და ისეთი მდგომარეობის მიღწევა, როცა ყველა მზეთავი და ყველა რკინისგზელი იმუშავებს ისე, როგორც მუშაობს დებალცევოს კვანძის მოწინავე მზეთავი ამხ. ნაგორსკი, და დისპეტჩერი კუტაფინი, როცა რკინისგზაზე ადგილი არ ექნება ბუქსის წვის და შემადგენლობიდან ვაგონის გამოყვანის არც ერთ შემთხვევას. კონკურსი უნდა გადავაქციოთ მძლავრ ბერკეტად სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ახალი ტალღის აზვირთებისათვის რკინისგზელთა შორის, კერძოდ მზეთავებსა და სავაგონო დეპოების მუშებსა და ინჟინერ - ტექნიკოსთა შორის, რომ მივაღწიოთ რკინის გზის ტრანსპორტზე შრომის რკინისებური დისციპლინის დამკვიდრებას, სავაგონო და სათოთქლმავლო მეურნეობის გაჯანსაღებას, ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას.

კონკურსი საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე ჩატარდება პირველ ოქტომბრიდან 1934 წლის პირველ იანვრამდე. პირველ ოქტომბრამდე დარჩენილი დრო საკმარისია, რომ მზეთავთა და სავაგონო დეპოების მუშაკთა ფართო მასებს განუმარტოთ კონკურსის მნიშვნელობა, დავრაზმოთ ისინი კონკურსის პირობების შესასრულებლად, საუკეთესო მზეთავის და საუკეთესო დეპოს საპატიო სახელის დამსახურებისათვის.

ამიერ - კავკასიის რკინისგზების პირველი და მეორე რაიონების პარტიულმა და სატრანსპორტო სამეურნეო ორგანიზაციებმა, გზის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. შვარცის მითითების საფუძველზე კონკურსის პირობები უნდა დაიყვანონ თვითეულ მზეთავამდის, სავაგონო დეპოს თვითეულ მუშაკამდის, უნდა უზრუნველჰყონ მზეთავებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა და ამგვარად, ავარიების და ბუქსის წვის შემთხვევების მოსპობით, ნამდვილად მიაღწიონ სავაგონო მეურნეობის გაჯანსაღებას.

წინასამზადებელ მუშაობაში და კონკურსის მიმდინარეობის ოპერატიულად გაშუქებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სატრანსპორტო პრესამ, როგორც რაიონულმა, ისე ძირეულმა გაზეთებმა. მათ უნდა უზრუნველჰყონ კონკურსის პირობების პოპულარიზაცია, გამონახონ და სოცშეჯიბრების ტრიბუნაზე გამოიყვანონ მოწინავე მზეთავები, მოაწყონ მათი გამოცდილების გაზიარება და გაშალონ მზეთავთა შორის სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა.

პარტიამ და ხელისუფლებამ დასახა ტრანსპორტის მუშაობის გარდაქმნის ბოლშევიკური პროგრამა, პოლიტგანყოფილებათა სახით, მან შექმნა ამ გარდაქმნის ხელმძღვანელი შტაბი.

ამხანაგო მზეთავებო! უპასუხეთ პარტიის და ხელისუფლების დადგენილებას თავდადებული მუშაობით, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლით, აქტიურად ჩაებით „კომუნისტი"-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, წამოაყენეთ საუკეთესონი კონკურსის ტრიბუნაზე.

მოწინავე მზეთავებო! გაიყოლიეთ ჩამორჩენილები, გადაეცით მათ თქვენი მდიდარი გამოცდილება, მიაღწიეთ საერთო წარმატებას.

სავაგონო დეპოების მუშაკებო და ინჟინერ - ტექნიკოსებო! თქვენ გაბარიათ სარკინისგზო მეურნეობის უაღრესად საპასუხისმგებლო ნაწილი — **ვაგონები.** თვალისჩინივით გაუფრთხილდით და სანიმუშოთ მოუარეთ მას, გვიჩვენეთ წარმოების უკეთესი ორგანიზაციის და ვაგონების მოვლა-შეკეთების რეკორდის ნიმუშები, იბრძოლეთ „კომუნისტი"-ს გარდამავალი დროშისათვის.

კონკურსი საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე გადავაქციოთ ათასების საქმედ, მოწინავე დამკვრელების საქმედ, ვიბრძოლოთ შრომის რკინისებური დისციპლინისათვის, შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის გეგმების მთლიანად შესრულებისათვის, სოციალისტური ტრანსპორტის მშვენიერი მუშაობისათვის.

კონკურსის პირობები და პრემიები

მზეთავი რკინისგზის ტრანსპორტის მნიშვნელოვანი ფიგურაა. მის კარგ მუშაობაზე დიდათ არის დამოკიდებული რკინისგზის ტრანსპორტის და განსაკუთრებით სავაგონო პარკის გაჯანსაღება. ტრანსპორტი მოითხოვს საუკეთესო, კეთილსინდისიერად მომუშავე, საქმისადმი გულშემატკივარ მზეთავს, რომელიც არ დაუშვებს თავისი მიზეზით ბუქსის გადაწვის არც ერთ შემთხვევას.

პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ", საკავშირო ტრიბუნაზე წამოაყენა საუკეთესო მზეთავი ამხ. ნაგორსკი და მისი ბრიგადის წევრები ამხ. გაიდაში და აფონინი.

„პრავდა" მოგვიწოდებს გამოვააშკარაოთ დამკვრელი მზეთავები, რომლებიც ღირსნი იქნებიან გვერდში ამოუდგენ ნაგორსკის, მოგვიწოდებს წამოვაყენოთ ასეთები საკავშირო ტრიბუნაზე, მათ მაგალითზე დავრაზმოთ მზეთავების მთელი მასა, წინ წავსწიოთ ჩამორჩენილები და ამგვარად, მივაღწიოთ საერთო წარმატებას ტრანსპორტზე.

„კომუნისტი" — ეხმაურება რა „პრავდას" მოწოდებას, პირველი ოქტომბრიდან პირველ ნოემბრამდე (1933 წლის მე-4 კვარტალი) ამიერ-კავკასიის რკინისგზის პირველი და მეორე საექსპლოატაციო რაიონების მასშტაბით აცხადებს კონკურსს საუკეთესო მზეთავსა და საუკეთესო სავაგონო დეპოზე.

პირობები მზეთავებისათვის

კონკურსში პირველობას მიიღებს ის მზეთავი, რომელიც შეასრულებს შემდეგ პირობებს:

1. არ ექნება მეოთხე კვარტალის განმავლობაში (ოქტომბერი, ნოემბერი, და დეკემბერი) ბუქსის წვის არც ერთი შემთხვევა და ამ მიზეზით არ ახსნის ვაგონს.

2. მიიღებს და ჩააბარებს მატარებელს ვაგონების შემმოწმებლებს უდეფექტოდ, სათანადო მარშრუტებში ჩაბარების აუცილებელი აღნიშვნით; გულდასმით აწარმოებს შემადგენლობის ტექნიკურ შემოწმებას გამგზავნ სადგურიდან მატარებლის გასვლის წინ, ტექნიკური ექსპლოატაციის წესების თანახმად.

3. ზედმიწევნით შეისწავლის და გაატარებს მზეთავებისათვის დაწესებულ ტექნიკურ ინსტრუქციას.

4. სრულ წესრიგში იქონიებს ხელსაწყოების ყუთს, უზრუნველყოფილს სათადარიგო ნაწილებითა და საზეთავი მასალით.

5. გულდასმით შეამოწმებს მიღებისას ბუქსებას საზეთავ მასალას და მათი უვარგისობის შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ადმინისტრაციას.

6. აუცილებლად აწარმოებს მატარებლის გაჩერების ყველა შემთხვევაში ბუქსების გასინჯვას ხელით, დაათვალიერებს მთელი შემადგენლობის ვაგონებს იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს ბუქსების გახურება და ვაგონების ტექნიკური მდგომარეობა (რესორების, ფარკოფელების და სხვ. მდგომარეობა) და მოძრაობის უშიშროების უზრუნველსაყოფად გზაში თვალყურს ადევნებს მატარებლის მსვლელობას და სიგნალებს.

7. მომჭირნეობით დახარჯავს საცხებ მასალას გზათა სახალხო კომისარიატის მიერ ყოველ 100 ღერძ - კილომეტრზე დაწესებული ნორმის მიხედვით.

8. სისტემატიურად იმეცადინებს ტექმინიმუმის შესასწავლად, დაეუფლება საზეინკლო საქმეს და ვაგონების მოვლას.

9. ბუქსირზე აიყვანს ჩამორჩენილ ამხანაგებს და დაეხმარება მათ ცოდნის ამაღლებაში.

10. ეცოდინება თავისი გარბენის ნორმები და საკუთარი ხელფასის აღრიცხვა.

11. არ დაუშვებს შრომის დისციპლინარული წესდების დარღვევის არც ერთ შემთხვევას.

პირობები სავაგონო დეპოებისათვის

პირველობას კონკურსში მოიპოვებს ის სავაგონო დეპო, რომელიც

1. სრულიად მოსპობს ვაგონების მოხსნას ბუქსების წვის გამო მზეთავის მიზეზით.

2. წესიერი ბუქსებით გაატარებს მატარებელს თავისი მომსახურების ფარგლებში და ამავე სახით გადასცემს მას მეზობელ უბანს.

პრემიები

დაჯილდოვებული იქნებიან ის მზეთავები და სავაგონო დეპო, რომელიც მთლიანად შეასრულებენ კონკურსის ზემოჩამოთვლილ პირობებს.

კონკურსში გამარჯვებული მზეთავი მიიღებს „საუკეთესო მზეთავის" სახელწოდებას და ფულად ჯილდოს.

საუკეთესო სავაგონო დეპო მიიღებს საპატიო სიგელს და „კომუნისტი"-ს გარდამავალ დროშას.

საუკეთესო მზეთავის დასაჯილდოვებლად წესდება შემდეგი პრემიები:

1. სამი პირველი ჯილდო, თითო—500 მან.
2. ხუთი მეორე ჯილდო, თითო—300 მან.
3. ათი მესამე ჯილდო, თითო—200 მან.

კონკურსის ჟიურში, საუკეთესო მზეთავების კანდიდატურას დასაჯილდოებლად მათი მუშაობის მაჩვენებლებით ადგენენ სავაგონო დეპოები, ხოლო დეპოების კანდიდატურას — ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამმართველოს სავაგონო განყოფილება.

ჟიურის შემადგენლობაში შედიან წარმომადგენლები: 1. გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციის, 2. ამიერკავკასიის რკინისგზის პოლიტგანყოფილების, 3. ა-კ. რკ. გზის სამმართველოს სავაგონო განყოფილების და 4. რკინისგზელთა პროფკავშირის ა-კ. საგზაო კომიტეტის.

„კომუნისტი"-ს რედაქცია

ხალისით ვებმები კონკურსში

სოცშეჯიბრებაში ვიწვევ ამხ. ასათიანს

(ტფილისის კვანძის მზეთავის ამხ. ან. ფსუტურის წერილი)

მეოთხე წელიწადია მზეთავად ვმუშაობ ა.-კ. რკ. გზის მე-2 საექსპლოატაციო რაიონში. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩემის მიზეზით მატარებელზე ბუქსი გადამწვარიყოს.

როგორ მივაღწიე ამას?

ამის მთავარი მიზეზია ის, რომ მე საქმეს ვეკიდები ყურადღებით. **ბუქსი სამსახურის ასრულების დროს ჩემთვის ყველაფერია, ერთად-ერთ საზრუნავ საგანს ამ დროს მხოლოდ ის შეადგენს,** უელი მას, როგორც თვალის ჩინს, ვცდილობ დავიცვა **ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც მზეთავისათვის დაწესებული ინსტრუქცია ითვალისწინებს.**

მზეთავისთვის აუცილებელია ჩაწვდეს და გაეცნოს ყოველ დეტალს. მისი საქმე გაზეთვის და მასალების მიღებიდან იწყება. დიდათ არის დამოკიდებული საქმის წარმატება იმაზე, თუ რამდენად ზედმიწევნით ასრულებს მზეთავი ამ მოთხოვნას.

ამიტომაც მე პირველ ყოვლისა საცხებ მასალის ხარისხს ვაქცევ ყურადღებას. ზედმიწევნით ვსინჯავ მისაღებ მასალას, თუ იგი საეჭვო ხარისხისაა ვიწუნებ. მასალა უნდა იყოს სუფთა.

ხოლო ყოველივე ეს, რომ მოასწრო, ამისათვის საჭიროა სამუშაოზე დროზე მისვლა. ინსტრუქციით, სამუშაოზე მატარებლის გასვლამდე 45 წუთით ადრე უნდა ვცხადდებოდეთ ჩვენ.

პირადად მე ეს დრო არ მყოფნის წინასწარ შესამოწმებელ სამუშაოს ჩასატარებლად და სამუშაოზე 1 ნახ. 2 საათით ადრე მივდივარ.

განსაკუთრებული სიფხიზლე მართებს მზეთავს მატარებლის მიღების დროს. როგორც წესი მატარებელს ჩვენ გამსინჯველები გვაბარებენ. ხშირად გამსინჯველი ზერელედ შეამოწმებს შემადგენლობას და ცდილობს შეაჩეროს იგი მზეთავს, ამ ნიადაგზე მრავალ გაუგებრობებს აქვს ადგილი. მზეთავი ენდობა გამსინჯველის „პატიოსან" სიტყვას, თვითონ არ ამოწმებს ვაგონებს და ხშირად უხდება გზაში ბუქსების გადაწვა.

მე ეს ვიცი და ამიტომ არასოდეს არ ვენდობი გამსინჯველის „ჩვილს", რომ შემადგენლობა წესიერ მდგომარეობაშია. პირადად ვათვალიერებ ვაგონების ყველა წამყვან ნაწილს, როგორც ბუქსებს, ისე ბუფერებს, გადასაბმელ ჯაჭვს, რესორებს და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ თვით ვაგონის დატვირთვას. ამ ნიადაგზეც ხშირია ბუქსების გადაწვის შემთხვევები. საკმარისია არათანაბრად იყოს განაწილებული ტვირთი ვაგონში, რომ აუცილებლად დაგვეწვით ბუქსი, რადგან ტვირთი ერთ მხარეზე, ან ერთ ბუქსს აწვება მეტად. ამის გარკვევა ადვილია, შეხედე რესორებს და დაინახავ, რომ ან ერთ მხარეზეა იგი დაწოლილი ან მეორეზე. ასეთი ვაგონი არ უნდა მიიღო, უწდა მოითხოვო ცუდად დაწყობილი ტვირთის გადაწყობა. ეს ხშირად ავიწყდებათ ხოლმე ამხანაგებს და ეს ეც ხიფათს უქმნის მათ.

დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ბუქსების გასინჯვას თითით. აუცილებლად უნდა გასინჯო ღერძის ყელი, თითის მოსმით გაიგებ არის მა-



საუკეთესო მზეთავი ამხ. ან. ფსუტური
(ტფილისის სავაგონო დეპო)

ზე ნაკაწრი, თუ არა. თუ გაკაწრულია, აუცილებლად მოხდება ბუქსის გადაწვა და ასეთ ვაგონის წაყვანა სახიფათოა. ამასთანავე უნდა გასინჯო, რომ ბუქსში არ იყოს ქვიშა.

მთავარია გამშვებ სადგურშივე გასინჯო კარგად ვაგონები, დარწმუნდე, რომ ყველაფერი რიგზეა და მაშინ გზაში ბევრი სამუშაო არ შეგხვდებათ. ამისათვისაა აუცილებელი სამუშაოზე ადრე მისვლა.

სახალხო მატარებლებს თითო მზეთავი მიჰყვება, რადგან იქ ბუქსები უკეთ არის დაცული. მძიმე ტვირთების მატარებელს კი ორი კაცი მიჰყვება. რომ ორმა მზეთავმა მთლიანად შესძლოს შემადგენლობის მომსახურება ამისათვის აუცილებელია, რომ ისინი ისეთ ადგილას მოთავსდნენ, საიდანაც შეეძლებათ თავისი უბნისათვის თვალყურის დევნება. მე ამ შემთხვევაში ამხანაგს წინასწარ ვუკეთებ ინსტრუქციას და ვეუბნები, როგორ იმუშაოს. ერთი-ერთი ვიკავებთ ადგილს მატარებლის თავში და მეორე შუაში; ასეთი განაწილებით მოსახვევში მთელი შემადგენლობა თქვენს თვალწინ იშლება და ადვილად ადევნებ თვალს ყოველ ვაგონს. თუ ბუქსი დაუზეთავია მოსახვევში და ისრებზე ის წივის. მახვილი ყური ამას ადვილად ამჩნევს.

მე პირადად ყოველთვის ვიგებ ბუქსის მდგომარეობას. ასეთ პირობებში პირველ გაჩერებისთანავე ვიღებ ზომებს. ამ შემთხვევაში ფხიზელ მზეთავს არასოდეს არ გადაეწვის ბუქსი.

ყველა ამ პირობების ზუსტად დაცვით მივაღწიე მე იმას, რომ ჯერ არ მქონია ბუქსის დაწვის არცერთი შემთხვევა. ურჩევ ამხანაგებს იმუშაონ გულმოდგინეთ, კეთილსინდისიერად მოეკიდონ საქმეს, მტკიცედ დაიცვან ინსტრუქცია, გააღრმაონ თავისი ცოდნა ტექმინიმუმის ლექციებზე. სისტემატიური დასწრებით და ისინიც ასეთივე შედეგებს მიიღებენ. ეს კი სასარგებლო იქნება საერთო საქმისათვის, ჩვენ ხელს შეუწყობთ ჩვენი სავაგონო პარკის გაჯანსაღებას.

დღეს ბუქსები და მზეთავი ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ეს გასაგებიცაა, როგორც ერთის კარგ მდგომარეობაზე, ისე მეორის კეთილსინდისიერ მუშაობაზე დიდათ არის დამოკიდებული რკ. გზ. ტრანსპორტის გაჯანსაღება.

დღეს გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია აცხადებს კონკურსს საუკეთესო მზეთავსა და საუკეთესო სავაგონო დეპოზე. ეს ღონისძიება მისასალმებელია, იგი ხელს შეუწყობს მზეთავების აქტივობის და ენტუზიაზმის გაზრდას და დარაზმავს მათ მუშაობის მაღალი ხარისხისათვის საბრძოლველად.

მე ხალისით ვებმები ამ კონკურსში და მოვუწოდებ ყველა მზეთავს—ისინიც ჩაებან მასში და აქტიურად იბრძოლონ გაზეთის საპატიო ჯილდოსათვის.

პირადად მე ვებმები კონკურსში და პირობას ვდებ ვიმუშაო კარგად, ვიმუშაო მოწინავე მზეთავ ნაგორსკივით და კიდევ უფრო გავაღრმაო იგი, როგორც ყოველთვის, შემდეგშიაც არ უნდა მქონდეს ბუქსების წვის არცერთი შემთხვევა. ამასთანავე კონკურსთან დაკავშირებით ვკისრულობ ვალდებულებას პირველ იანვრამდე მოვამზადო ექვსი ჩამორჩენილი ამხანაგი და ამავე მიზნით სოცშეჯიბრებაში ვიწვევ საუკეთესო მზეთავს ჩვენი კოლექტივიდან ამხ. **ასათიანს.**

მძლავრი ელექტრომავლები

ბათომი, 23 სექტემბერი. გენუიდან ბათომში მოვიდა გემი „ვოლგოლესი", რომელმაც მოიტანა სამი ელექტრომავალი სურამის ელექტროფიცირებული უბნისათვის.

ელექტრომავალს აღმართში აქვს 1000 ტონიანი სამარშრუტო მატარებლის, თვით ელექტრომავალი იწონის 138 ტონას. თვითეულ ელექტრომავალზე დადგმულია ექვსი 3,200 ცხენისძალიანი მოტორი.

ელექტრომავლების ჩასაბარებლად ჩამოვიდნენ იტალიელი მონტიორები.

იტალიაში სულ შეკვეთილია შვიდი ასეთი ელექტრომავალი (აჟს).

ს. შვარცი

ა-კ. რკ. გზების პოლიტგანყოფილების უფროსი.

თითეული მზეთავის ღირსების საქმე

ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა" აწყობს მზეთავების საკავშირო ტრიბუნას. „პრავდა" გვიჩვენებს რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და საკ. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის მაგალითს.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მთავრობის დადგენილება რკინის გზის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ერთ ერთ სერიოზულ მიზეზად ასახელებდა სავაგონო პარკისათვის თავის მინებებას, მის მივიწყებას.

ჯანსაღი ვაგონის გარეშე არ არსებობს ჯანსაღი ტრანსპორტი. სხვათა შორის, ის მრავალრიცხოვანი ავარიები და მარცხები, რომლიც განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე პირდაპირ ანადგურებს სატრანსპორტო მეურნეობას, უმთავრესად გამოწვეულია სავაგონო პარკისადმი გულგრილი, დაუდევარი დამოკიდებულებით.

მზეთავები განსაკუთრებით არიან პასუხისმგებელი სავაგონო პარკის მდგომარეობისათვის.

მზეთავის თანამდებობა, — ნათქვამია საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და საკ. სახკომსაბჭოს დადგენილებაში, ებრალო, მაგრამ **უაღრესად მნიშვნელოვანი თანამდებობაა.** უბედურება იმაშია, რომ მიუხედავად მზეთავის უდიდესი როლისა, ჯანსაღი ვაგონისათვის ბრძოლაში, ამ მნიშვნელოვან თანამდებობას არ აქცევდენ ჯეროვან ყურადღებას. რკინისგზელ - კომუნისტების კლასობრივი სიფხიზლის მოდუნება ნაწილობრივ იმაშიც გამოიხატა, რომ მზეთავებად იღებდენ ვინც შეხვდებოდათ. ც. კ-ის სახკომსაბჭოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ: „ხშირად აქ ძვრებიან აშკარა მტრები— თეთრგვარდიელები და კულაკები, რომელთაც ამგვარად საშუალება ეძლევათ ანგრიონ სარკინისგზო მეურნეობის უაღრესად პასუხსაგები ნაწილი — ვაგონები". მზეთავების დანაგვიანებამ კონტრ - რევოლუციური ხროვით, მათ მუშაობაზე კონტროლის უქონლობამ, რის შედეგადაც ვაგონები გზაში ხშირად დაუზეთავი რჩებიან, — მიგვიყვანა იქამდის, რომ: **„მზეთავი ფაქტიურად ხდება ავარიების და მარცხების ორგანიზატორად".** ასეთი მკაცრი, მაგრამ სავსებით სამართლიანი შეფასება მისცა ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ მზეთავების მუშაობას.

თითეული პროლეტარი-მზეთავის საბრძოლო ამოცანა და ღირსების საქმეა —უახლოეს დროში გახდეს რკინისგზის ტრანსპორტის მოწინავე და სამაგალითო მუშად.

მზეთავების რიგებიდან უნდა განიდევნოს კონტრ - რევოლუციური ხროვა და დეზორგანიზატორული ელემენტები. არავითარი დანდობა ქარაფშუტა და შრომის დისციპლინის დამრღვევ მზეთავებს.

მზეთავებმა თავი უნდა დააღწიონ იმ მდგომარეობას, როდესაც აქამდის ისინი თავისთავს უწოდებდენ „ველურ დივიზიას". მზეთავები უნდა გადაიქცნენ ორგანიზებულ, მჭიდროდ შეკავშირებულ რკინისგზელთა რაზმად, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა.

მზეთავებო! გაუსწორდით საუკეთესო და მოწინავე დამკვრელებს, წამოაყენეთ ისინი „პრავდა"-ს მიერ მოწყობილ საკავშირო ტრიბუნაზე.

მეორე რაიონის სავაგონო უბნების

პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს

ამიერ-კავკასიის რკინისგზის მე-2 საექსპლოატაციო რაიონის პოლიტგანყოფილება ესალმება და იწონებს გაზ. „კომუნისტი"-ს მეტად სასარგებლო ინიციატივას საუკეთესო მზეთავსა და საუკეთესო სავაგონო დეპოზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ამ კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, მეორე საექსპლოატაციო რაიონის პოლიტგანყოფილება მოუწოდებს სავაგონო უბნების პარტიულ - პროფესიულ ორგანიზაციებს, — ფართოდ გაშალონ მასობრივი, ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მზეთავთა შორის სოცშეჯიბრება-დამკვრელობის კიდევ უფრო განვითარებისა და ცრუდამკვრელების, უდისციპლინოების, საქმის დეზორგანიზატორების გამოსამჟღავნებლად და ასეთებისაგან ტრანსპორტის გასათავისუფლებლად.

ა.-კ. რკ. გზ. მე-2 საექსპლოატაციო რაიონის პოლიტგანყოფილების უფროსი — ი. ქორქოლაძე.

გამოწვევა მიღებულია

ვესალმები გაზ. „კომუნისტი"-ს ინიციატივას საუკეთესო მზეთავზე და სავაგონო დეპოზე პირველ და მეორე საექსპლოატაციო რაიონებში კონკურსის მოწყობის შესახებ.

ვებმები კონკურსში. ვიღებ ამხ. ფსუტურის გამოწვევას და ვკისრულობ ვალდებულებას **მოვამზადო პირველ იანვრამდე 10 მზეთავი, გავუზიარო ამხანაგებს 13 წლის ჩემი მუშაობის გამოცდილება მზეთაობის დარგში, გავაცნო ჩემი მუშაობის მეთოდები; დღემდის მე არ მქონია ბუქსების გადაწვის არცერთი შემთხვევა. პირობას ვიძლევი: არც მომავალში დაუშვა ბუქსის გადაწვა და ყოველმხრივ დავეხმარო ჩემს ამხანაგებს, რომ მათაც მიაღწიონ ამ მდგომარეობას.**

ამასთან, ვკისრულობ ვალდებულების სამუშაოდან თავისუფალ დროს გავყვე მატარებლებზე სუსტ ამხანაგებს, ვასწავლო მათ გზაში მუშაობის წესები და ამავე მიზნით ისინი წავიყვანო ჩემს მატარებლებზედაც.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. გ. ი. სოკოლნიკოვის განცხადება იაპონიის მოსკოველი ელჩისადმი

მოსკოვი, 21 სექტემბერი. გუშინ, ა. წ. 21 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. გ. ი. სოკოლნიკოვმა მიმართა იაპონიის ელჩს მოსკოვში ოტას შემდეგი განცხადებით:

„საბჭოთა მთავრობის მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, მანჯურიის ხელისუფლებას, იაპონის მთავრობის მითითებით, განზრახვა აქვს უახლოეს დღეებში ცალმხრივად ჩაატაროს მთელი რიგი ცვლილებანი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მმართველობის საქმეში, რაც სრულიად არღვევს შემოღებულ წესს; კერძოდ, მას განზრახვა აქვს უხეშად დაარღვიოს ის უფლებები, რომლებიც ეკუთვნის გზის საბჭოთა მმართველს და ფაქტიურად იგი მანჯურიელ თანაშემწეზე დამოკიდებული გახადოს. ამავე დროს მანჯურიის წარმომადგენლები, იაპონიის მთავრობის აგენტების მითითებით, ახავენ მთელ რიგ პოლიციურ ღონისძიებებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა თანამშრომლების წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობამ დამავალა გაგაფრთხილოთ მისი სახელით, რომ ასეთ ან მსგავს ღონისძიებათა განხორციელება ხარბინში, რაც არღვევს გზის ხელშეკრულებებით დაწესებულ სტატუსს, მიჩნეული იქნება საბჭოთა მთავრობის მიერ იმ ვალდებულებათა საწინააღმდეგო ფაქტად, რომლებიც იკისრეს პეკინის და მუკდენის მთავრობებმა და [illegible], როგორც გზის ხელში ჩაგდების შეუფერებელი ცდა. საბჭოთა მთავრობა ხვდება, რომ პირდაპირი პასუხისმგებლობა ამ დარღვევებისათვის ეკისრება იაპონიის მთავრობას. მანჯურიის ნამდვილი ბატონ-პატრონია არა მანჯოუგო, რომელიც ფიქციურია და რომელსაც არ შესწევს უნარი იკისროს პასუხისმგებლობა მანჯურიაში მომხდარი ამბებისათვის, არამედ იაპონიის მთავრობა და მან უნდა იკისროს პირდაპირი პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე ხელშეკრულებათა ყოველგვარი დარღვევისათვის, აგრეთვე გზის ხელში ჩაგდებისათვის, რასაც უკვე ამზადებენ.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს იურენევს დაევალა ასეთივე განცხადებით მიმართოს იაპონიის მთავრობას ტოკიოში (ტას).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების შემცირება

მოსკოვი, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა შეამციროს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები, როგორც საერთო საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში, ისე რესპუბლიკანურ სახალხო კომისარიატებსა და დაწესებულებებში ხუთი პროცენტით, 1933 წ. დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებთან შედარებით. მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ აღნიშნული ხარჯების შემცირება მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების მიერ დამტკიცებულ ლიმიტებამდე ამასთან აკრძალონ მათი გადიდება ბიუჯეტის შესრულების პროცესში მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების განსაკუთრებულ დადგენილებათა გარეშე.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წინადადება ეძლევა ორი დღის ვადაში წარმოადგინოს ახსნა-განმარტება თუ რატომ იქნა დაშვებული ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების გადიდება რესპუბლიკანური ბიუჯეტით საკავშირო მთავრობის მიერ 1933 წლისათვის დამტკიცებულ თანხების ზევით.

ერთი მილიონი მანეთი სოხუმის კომუნალური მშენებლობისათვის

მოსკოვი (საკ. კორესპ.). საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა ამ.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის 1933 წლის კაპიტალური დაბანდებათა მოცულობის გადიდება ერთი მილიონი მანეთით რაც უნდა მოხმარდეს კომუნალურ მშენებლობას სოხუმში.

ი. სტალინი

ინგლისის იმპერიალიზმის აგენტების მიერ 26 ბაქოელი ამხანაგის დახვრეტის გარშემო

გამოქვეყნებულია სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის „უწყებებში“ („იზვესტია“) № 85 (637) 1919 წლ. 23 აპრილს

მკითხველის საყურადღებოდ ჩვენ ვაქვეყნებთ ორ დოკუმენტს, რომლებიც მოწმობენ ინგლისელ იმპერიალისტების მიერ ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების პასუხისმგებელ მუშაკებთან ანგარიშის მხეცურად გასწორებას გასული წლის გაზაფხულზე. აღნიშნული დოკუმენტების წყარო — ბაქოს ესერების გაზეთი „ზნამია ტრუდა“ და ბაქოს გაზეთი „ედინაია როსია“, ე.ი. თვით ის წრეები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მოუწოდებდნენ ინგლისელებს დასახმარებლად და ღალატობდნენ ბოლშევიკებს, ხოლო ახლა კი ამბების მსვლელობის მიხედვით იძულებული არიან გამოამჟღავნონ თავისი გუშინდელი მოკავშირეები.

პირველი დოკუმენტი მოგვითხრობს ინგლისელ კაპიტან ტიგ-ჯონსის მიერ ქ. ბაქოს 26 საბჭოთა მუშაკის (შაუმიანის, ჯაფარიძის, ფიოლეტოვის, მალიგინის და სხვ.) გაუსამართლებლად და საქმის გამოუძიებლად ბარბაროსულად დახვრეტის შესახებ 1918 წლის 20 სექტემბერს ღამით გზაზე კრასნოვოდსკიდან ასხაბადისაკენ, საითკენაც მათ როგორც სამხედრო ტყვეებს გზავნიდა ტიგ-ჯონსი. ტიგ-ჯონსს და მის ესერ-მენშევიკურ კომპანიონებს იმედი ჰქონდათ მიეჩქმალათ საქმე, ისინი ფიქრობდნენ გამოეყენებიათ ყალბი მოწმობები ბაქოელ ბოლშევიკების საპატიმროში ან საავადმყოფოში „ბუნებრივი“ სიკვდილის შესახებ, მაგრამ ეს გეგმა ალბად, ჩაიშალა, ვინაიდან თურმე დარჩენ მოწმეები, რომლებსაც არ სურთ გაჩუმდნენ და მზად არიან ბოლომდე გამოამჟღავნონ ინგლისელი ჯალათები. ამ დოკუმენტს ხელს აწერს ესერი ჩაიკინი.

მეორე დოკუმენტი გამოხატავს ინგლისელ გენერლის ტომსონის საუბარს პირველი დოკუმენტის ავტორ ჩაიკინთან 1919 წლის მარტის დამლევს. გენერალი ტომსონი მოითხოვს ჩაიკინისაგან დაასახელოს ინგლისელი კაპიტანის ტიგ-ჯონსის მიერ 26 ბაქოელ ბოლშევიკთან ანგარიშის მხეცურად გასწორების მოწმეებს. ჩაიკინი მზად არის წარადგინოს დოკუმენტები და დაასახელოს მოწმეები იმ პირობით, თუ შეიქმნება საგამომძიებლო კომისია ინგლისის სარდლობის, ბაქოს მოსახლეობის და თურქესტანის ბოლშევიკების წარმომადგენლებისაგან, ამასთან ჩაიკინი მოითხოვს გარანტიას, რომ თურქესტანელი მოწმეები არ იქნებიან მოკლულნი ინგლისელთა აგენტების მიერ. ვინაიდან ტომსონი არ ღებულობს წინადადებას საგამომძიებლო კომისიის შესახებ და არ იძლევა მოწმეთა პირადი უშიშროების გარანტიას, საუბარი სწყდება და ჩაიკინი მიდის. დოკუმენტი საინტერესოა იმ მხრივ, რომ არა პირდაპირ ადასტურებს რა ინგლისელი იმპერიალისტების ბარბაროსობას, არამც თუ მოწმობს, არამედ გაჰკვრის ინგლისის აგენტების დაუსჯელობასა და ველურ თარეშზე, იმ აგენტებს, რომლებიც ანგარიშს უსწორებენ ბაქოს და იმიერ-კასპიის ადგილობრივ „მკვიდრთ“, როგორც შავკანიანებს ცენტრალურ აფრიკაში.



ბაქოს 26 ბოლშევიკის ისტორია წარმოგვიდგება შემდეგი სახით. 1918 წლის აგვისტოში, როცა თურქეთის ჯარი მიუახლოვდა ბაქოს, ხოლო ბაქოს საბჭოს ესერ-მენშევიკებმა ბოლშევიკების წინააღმდეგ გაიყვანეს საბჭოს უმრავლესობა და მოიწვიეს დასახმარებლად ინგლისელი იმპერიალისტები, უმცირესობაში დარჩენილი ბაქოელი ბოლშევიკები შაუმიანის და ჯაფარიძის მეთაურობით გადადგნენ და გაანთავისუფლეს ასპარეზი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის. მაშინ ბაქოში ახლად შემდგარ ინგლის-ესერ-მენშევიკური ხელისუფლების თანხმობით ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს გამგზავრებულიყვნენ პეტროვსკში, საბჭოთა ხელისუფლების უახლოეს პუნქტში. მაგრამ პეტროვსკში მიმავალ გემს, რომელსაც მიჰყავდა ბაქოელი ბოლშევიკები თავისი ოჯახის წევრებით, გამოედევნენ ინგლისის გემები, სროლა აუტეხეს მას და წაიყვანეს კრასნოვოდსკში. ეს იყო აგვისტოში. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ამის შემდეგ რამდენჯერმე მიმართა ინგლისის სარდლობას და მოითხოვდა ბაქოელი ამხანაგების და მათი ოჯახის წევრების განთავისუფლებას — დაპატიმრებულ ინგლისელებზე გაცვლას, მაგრამ ინგლისის სარდლობა ყოველთვის სდუმდა. ჯერ კიდევ ოქტომბრიდან ვღებულობდით ცნობებს კერძო პირებისა და ორგანიზაციებისაგან ბაქოელი ამხანაგების დახვრეტის შესახებ. 1919 წლის 5 მარტს ასტრახანში ტფილისიდან მიღებული იქნა რადიო იმის შესახებ, რომ „ჯაფარიძე და შაუმიანი არ არიან ინგლისის სარდლობის განკარგულებაში, რომ ადგილობრივი ცნობებით ისინი თვითნებურად მოჰკლა მუშათა ჯგუფმა სექტემბერში კიზილარვატის მახლობლად“. როგორც ჩანს ეს იყო ინგლისელ მკვლელების პირველი ოფიციალური ცდა თავისი მხეცური დანაშაული გადაებრალებიათ მუშებისათვის, რომლებსაც უსაზღვროდ უყვარდათ შაუმიანიც და ჯაფარიძეც. ახლა ზემოაღნიშნულ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი ბაქოელი ამხანაგები, რომლებმაც თავისი ნებით დასტოვეს პოლიტიკური ასპარეზი და მიემგზავრებოდნენ პეტროვსკში ევაკუაციის წესით, ნამდვილად დახვრიტეს გაუსამართლებლად და საქმის გამოუძიებლად „ცივილიზებულ“ და „ჰუმანურ“ ინგლისის კაციჭამიებმა.

„ცივილიზებულ“ ქვეყნებში მიღებულია ილაპარაკონ ბოლშევიკების ტერორისა და საშინელებებზე. ამასთან ერთად, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს ჩვეულებისამებრ გვიხატავენ, როგორც ტერორისა და დახვრეტის მტრებს. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ გასწორებია თავის მოწინააღმდეგეებს ისე მუხანათურად და სულმდაბლურად, როგორადაც „ცივილიზებული“ და „ჰუმანური“ ინგლისელები? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ იმპერიალისტურ კაციჭამიებს, მხოლოდ იმათ, ვინც ბოლომდე გახრწნილია და ყოველგვარი მორალური ძალა დაჰკარგა, ესაჭიროებათ ღამის მკვლელობანი და ავაზაკური თავდასხმა მოწინააღმდეგე ბანაკის უიარაღო პოლიტიკურ მუშაკებზე? თუ კიდევ დარჩენილან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ეს არ სჯერათ, დაე წაიკითხონ ქვემომოყვანილი დოკუმენტები და ყველაფერს თავისი სახელი უწოდონ.

როდესაც ბაქოში ინგლისელებს იწვევდნენ და ბოლშევიკებს ჰღალატობდნენ, ბაქოელი მენშევიკები და ესერები ფიქრობდნენ ინგლისელი „სტუმრები“ „გამოეყენებიათ“, როგორც ძალა. ფიქრობდნენ, რომ ქვეყნის ბატონპატრონებად დარჩებოდნენ მენშევიკები და ესერები, „სტუმრები“ კი წავიდოდნენ, საიდანაც მოსულიყვნენ. ნამდვილად პირიქით მოხდა: „სტუმრები“ შეუზღუდველი ბატონპატრონები შეიქმნენ; ესერები და მენშევიკები გადაიქცნენ „26 კომისრის“ მუხანათური და სულმდაბლური მოკვლის აუცილებელ მონაწილეებად; ესერები იძულებულნი გახდნენ ოპოზიციაში გადასულიყვნენ და ფრთხილად ამხილდნენ ახლად მოვლენილ ბატონებს, ხოლო მენშევიკები თავიანთ ბაქოს გაზეთ „ისკრაში“ იძულებულნი არიან ბოლშევიკებთან ბლოკი იქადაგონ წინააღმდეგ გუშინდელი „სანატრელი სტუმრებისა“.

განა ცხადი არაა, რომ ესერებისა და მენშევიკების კავშირი იმპერიალიზმის აგენტებთან — ეს არის მონებისა და ლაქიების „კავშირი“ თავიანთ ბატონებთან? თუ კიდევ დარჩენილან ადამიანები, რომელთაც ეს არ სჯერათ, დაე წაიკითხონ ქვემომოყვანილი „საუბარი“ გენერალი ტომსონისა ბატონ ჩაიკინთან და სინდისის ქვეშ თქვან: ჰგავს განა ჩაიკინი მასპინძელს, ხოლო გენერალი ტომსონი „სანატრელ სტუმარს?“

„26 კომისრის სიკვდილით დასჯა“

(დოკუმენტი № 1)

1918 წ. სექტემბრის ნახევარში დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა ასხაბადში, კაპიტანმა რეჯინალდ თედორეს-ძე ტიგ-ჯონსმა, როცა გაიგო კრასნოვოდსკის ნაპირზე 26 ბოლშევიკი კომისრის დატყვევება, იმიერ-კასპიის მხარის სამხედრო ბიუროს მეთაურს სიმონ იაკობის-ძე დრუჟკინს და საოლქო კომიტეტის ზოგიერთ წევრს მიმართა მითითებით, რომ მისთვის სასურველია, ინგლისის მისიის მიზნებთან შეფარდებით, ეს კომისრები ინდოეთში იყოლიოს. დრუჟკინი სავსებით დაეთანხმა ტიგ-ჯონსის მოსაზრებებს, რომლებითაც იგი ასაბუთებდა ბაქოს კომისრების წაყვანას კრასნოვოდსკიდან მეშედში, ხოლო იქედან — ინდოეთში; თავის მხრივ მან მიუთითა იმიერ-კასპიის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთ წევრს, რომ აუცილებელია ხელი შეეწყოს დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაურის გეგმების და მიზნების განხორციელებას. ამავე დროს ტიგ-ჯონსმა და დრუჟკინმა აცნობეს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენებულ წევრებს, რომ მათ კომისრების წაყვანა მეშედსა და ინდოეთში ბევრი მხრივ არასასურველად მიაჩნიათ: რომ ყველა კომისარი კრასნოვოდსკისაკენ წაყვანისას დახვრეტილ უნდა იქნას, რაც აგრეთვე სავსებით შეეფერება დიდი ბრიტანეთის ასხაბადში მყოფი სამხედრო მისიის მიზნებს, მაგრამ ეს უნდა მოეწყოს ისე, რომ ზოგიერთი გარანტია იქნას დაცული. სახელდობრ, ტიგ-ჯონსის და დრუჟკინის გეგმით, ბაქოს კომისრები ხელწერილს ქვეშ ფიქტიურად უნდა გადაეცათ მეშედის ინგლისური ხელისუფლებისთვის, თუმცა ნამდვილად უნდა დაეხვრიტათ გზაში კრასნოვოდსკის და ასხაბადის სადგურებს შორის. მეშედის ინგლისელთა სამხედრო ხელისუფლების ხელწერილი 26 ბაქოს კომისრის მიღებაში საზღვარს დაუდებს ყოველგვარ მითქმა-მოთქმას, მათი სიკვდილის, მოკვლის ან გაქცევის შესახებ.

მაგრამ სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ადრე თუ გვიან ესა თუ ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მოკლულთა ნათესავები ან მათი ნაცნობები დაჟინებით მოითხოვენ წაყვანილი კომისრების შემდგომი ბედის გამორკვევას. ამიტომ ტიგ-ჯონსმა განუმარტა დრუჟკინს, ხოლო მან თავის მხრივ აღმასრულებელი კომიტეტის იმ წევრებს, რომლებიც იცნობდნენ განზრახულ საქმეს, რომ შემდეგში შესაფერისი თანდათანობით გაცემული იქნება ოფიციალური მოწმობები 26 კომისართა სიკვდილის შესახებ; ამის შესახებ, „შესაძლებელია როგორიც გნებავთ ისეთი საექიმო მოწმობის წარდგენა“.

ყველა მოყვანილმა მოსაზრებამ და ტიგ-ჯონსის და დრუჟკინის ფორმალურმა გარანტიებმა აღმასრულებელი კომიტეტის ის წევრები, რომელნიც ჩაბმული იყვნენ ამ საქმის შესრულებაში, მაგრამ თავდაპირველად მერყეობდნენ, დაარწმუნეს 26 ბაქოელი კომისრის მოკვლის შესაძლებლობასა, მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაში, რის შემდეგაც ისინი დათანხმდნენ გაეტარებიათ გეგმა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის განხორციელებას.

ამ გეგმის შესასრულებლად აღმასრულებელი კომიტეტის აღნიშნული წევრების და ზოგიერთი სხვა პირის მიერ მოწყობილ იქნა კრასნოვოდსკის გამგზავრება, 19 სექტემბერს საღამოს კრასნოვოდსკის სადგურზე მივიდა საგანგებო მატარებელი იმ მიზნით, რომ ასხაბადის მიმართულებით წაეყვანათ დასახვრეტად განწირული კომისრები. 20 სექტემბერს, შეღამებისას, კრასნოვოდსკის საპყრობილედან გამოითხოვეს ყველა 26 კომისარი მეშედის გზით ინდოეთში წასაყვანად, განსაკუთრებულ ფორმალობათა დაუცველად, მიღებულ იქნა საპყრობილის ადმინისტრაციის თანხმობა. იმავე ღამეს საგანგებო მატარებელი კომისრებით, დაიძრა და 6 თუ 7 საათის განმავლობაში მიდიოდა ასხაბადის მიმართულებით.

დაახლოვებით დილის 6 საათზე მატარებელმა გაიარა 200 ვერსზე მეტი და გაჩერდა გადასარბენზე პერევალის და ახჩა-კუიმის სადგურებს შორის, თითქმის 207 ვერსის მანძილზე. აქ წაყვანის და დახვრეტის ხელმძღვანელებმა აცნობეს ყველა 26 კომისარს მათი ბედი, და დაიწყო სიკვდილმისჯილთა გამოყვანა ვაგონიდან ჯგუფ-ჯგუფად, 8-9 კაცის რაოდენობით. ყველა კომისარი შეაწუხა ამ გადაწყვეტილებამ და ჩაფიქრებული სდუმდნენ, გარდა ერთი მეზღვაურისა, რომელმაც ხმამაღლა დაიძახა: „მე გულდამშვიდებული ვარ, მე ვიცი, რომ თავისუფლებისათვის ვკვდები“. ამაზე დახვრეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა უპასუხა: „ჩვენც ვიცით, რომ ადრე თუ გვიან მოვკვდებით თავისუფლებისათვის, მაგრამ ჩვენ იგი სხვანაირად გვესმის“. ამის შემდეგ ვაგონიდან გაითიადისას გამოყვანილი კომისართა ჯგუფი ერთბაშად იქნა დახვრეტილი. დასასჯელად გამოყვანილთა მეორე ჯგუფმა, ალბათ გაითვალისწინა რუხი ქვიშნარი გორაკებით დაფარული მიდამოს ხასიათი და ზოგიერთს შეიძლება ჰქონდა ტყვიისაგან გადარჩენის იმედი, ისინი შეეცადნენ გაქცევას, მაგრამ მრავალგზისი ერთბაში სროლით დახვრეტილ იქნენ. უკანასკნელ ჯგუფებს უკვე არ უცდიათ გაქცევა.

მას შემდეგ, რაც ყველა კომისარი დახვრიტეს და მათ სიკვდილში დარწმუნდნენ, სასჯელის შემსრულებლებმა სასწრაფოდ ჩაფლეს გვამები ქვიშაში (დაახლოვებით 30 საჟენის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგიდან) და აქ დასწვეს დასჯილთა ნივთების ერთი ნაწილი; დარჩენილი ნივთების დიდი ნაწილი კი უკვე მატარებელში დასწვეს. კომისრების დახვრეტის შემდეგ მატარებელი დაბრუნდა თავის წინანდელ ადგილას.

ზემოდ ნათქვამს უნდა დაემატოს, რომ ზოგიერთი ძნელად მისახვედრი ნიშნის მიხედვით, ინდოეთში გასაგზავნად 26 კომისრის მიღების შესახებ კაპიტან ტიგ-ჯონსის მიერ შეკრებილ ოფიციალურ მოწმობებიდან, აგრეთვე გადატანილი ავადმყოფობისაგან მათი გარდაცვალების შესახებ საექიმო მოწმობებიდან, დრუჟკინს, როგორც ჩანს, მხოლოდ პირველი მიეცა. ამ მოსაზრების ჭეშმარიტება იქედან გამომდინარეობს, რომ ს. ი. დრუჟკინს, რომელიც წინასწარ, აღმასრულებელი კომიტეტის წევრებთან საბოლოო შეთანხმებამდე, მათ ეუბნებოდა მისთვის ტიგ-ჯონსის მიერ მიცემულ დაპირების შესახებ, შემდეგში არა ერთხელ განუცხადებია, რომ დოკუმენტები მას გადასცეს. რაც შეეხება დოკუმენტების მეორე ჯგუფს, რომელსაც, ტიგ-ჯონსის განმარტებით, მოსახლეობის ფართო წრეებისათვის უნდა მოესპო ყოველგვარი შესაძლებლობა ეფიქრათ, რომ კომისრები არაბუნებრივი სიკვდილით მოკვდნენ, — ეს დოკუმენტები საჭირო არ ყოფილა, ისინი არ გაუციათ. (იხ. ბაქოს ესერული გაზეთი „ზნამია ტრუდა“, № 55, 1919 წ.).

„იზვესტია“ 1919 წ. 23 აპრილი. № 85 (637).

„გენერალ ტომსონის შეხვედრა ბატონ ჩაიკინთან 1919 წლის 23 მარტს“

(დოკუმენტი № 2)

გენერალი: ბაქოს პრესაში გამოქვეყნდა წერილები, რომლებიც ბრალს სდებენ ბრიტანელ ოფიცერს ტიგ-ჯონსს რამდენიმე რუსის მკვლელობაში 1918 წლის 20 სექტემბერს. ვინაიდან პრესა იუწყება, რომ აღნიშნული წერილების დამამტკიცებელი საბუთები ხელთ აქვს ბატონ ჩაიკინს, მე ვთხოვ ბატონ ჩაიკინს წარმოადგინოს ეს დამამტკიცებელი საბუთები.

ჩაიკინი: ამ საკითხის გარჩევამდე მე მსურდა გამეგო, გენერალი მალისონი გენერალ ტომსონის ხელქვეითია თუ არა?

გენერალი: ბატონმა ჩაიკინმა დეპეშით აცნობა ტფილისიდან თავისი მისამართით ბაქოს პრესას და განაცხადა, რომ თუ ბრიტანეთის სარდლობა მოისურვებს რაიმე ცნობების, იგი მზადაა გადასცეს თავის-თავი მათ განკარგულებაში.

ჩაიკინი: მე მსურდა გამეგო— ემორჩილება თუ არა იმიერ-კასპიის ოლქის და თურქესტანის სარდლობა გენერალ ტომსონს?

გენერალი: ჩაიკინმა გაუკეთა განცხადება ბაქოს და ტფილისის გაზეთებს. ამჟამად ჩაიკინი იმყოფება ტფილისში, სადაც ვიმყოფები მეც. სარდლობის საკითხს საერთო არა აქვს რა იმ საკითხთან, რომელიც მე მინდა გამოვიძიო, ჩაიკინმა განაცხადა, რომ მას შეუძლია დაადასტუროს თავისი განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში, ახლა მე ვთხოვ მას დაადასტუროს ის.

ჩაიკინი: თუ გენერალი ტომსონი თანახმა განიხილოს საკითხი, მე მზად ვარ წარუდგინო მას დამამტკიცებელი საბუთები.

გენერალი: მესამეჯერ ვთხოვ ბატონ ჩაიკინს, წარმოადგინოს თავისი დამამტკიცებელი საბუთები.

ჩაიკინი: ინგლისში და სხვა ქვეყნებში არის იურისდიკციის სამი ინსტანცია. მე მსურდა დავრწმუნებულიყავი, რომ დანიშნული იქნება საგამომძიებლო კომისია ამ საკითხის გამოსარკვევად. ამასთან ამ კომისიაში წარმოდგენილი უნდა იქნას სამოქალაქო ხელისუფლებაც და ასეთ კომისიას მე მზად ვარ წარუდგინო ჩემი დამამტკიცებელი საბუთები.

გენერალი: კაპიტანი ხუნდი წაიკითხავს ამონაწერს გაზეთ „ნოვაია ზარია-დან“, რომელიც მოწმობს, რომ ჩაიკინმა გამოსთქვა მზადყოფნა წარადგინოს დამამტკიცებელი საბუთები ბრიტანეთის მისიის ოფიცრის ტიგ-ჯონსის ბრძანებით 26 კაცის მოკვლის შესახებ (წერილი წაკითხულ იქნა). ახლა მე მეოთხეჯერ ვთხოვ ბატონ ჩაიკინს წარმოადგინოს მის განკარგულებაში არსებული უტყუარი დამამტკიცებელი საბუთები.

ჩაიკინი: მე მზად ვარ წარუდგინო ისინი საგამომძიებლო კომისიას, რომელიც შედგენილი იქნება ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებისაგან, თურქესტანის იმ ნაწილის წარმომადგენელისაგან, რომელსაც განაგებენ ბოლშევიკები, და ბაქოს მოსახლეობის წარმომადგენლისაგან.

გენერალი: ეს ისე ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ ჩაიკინი უარს ამბობს წარმოადგინოს ახლავე დამამტკიცებელი საბუთების ნაწილი.

ჩაიკინი: მე მზად ვარ წარმოვადგინო ახლავე დამამტკიცებელი საბუთების ნაწილი იმისათვის, რომ საშუალება მოგცეთ მიიღოთ ზომები საგამომძიებლო კომისიის მოსაწვევად.

გენერალი: გთხოვთ დაიწყოთ.

ჩაიკინი: თურქესტანის პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა და მე რომ ერთბაშად წარმოვადგინო ყველა ჩემი დამამტკიცებელი საბუთი, შეიძლება ამას მოჰყვეს არასასურველი შედეგები. სწორედ ამიტომ არ მინდა მე მათი ერთბაშად წარმოდგენა.

გენერალი: მე მოვაგონებ ბატონ ჩაიკინს, რომ მან ბრალი დასდო ბრიტანელ ოფიცერს 20—26 კაცის მკვლელობაში 1918 წლის 4 სექტემბერს. ამას არაფერი საერთო არ აქვს თურქესტანის პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

ჩაიკინი: მე იმ აზრისა ვარ, რომ ზემოხსენებულ ხალხის მკვლელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თურქესტანის აწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობასთან. ბრიტანეთის სარდლობამ ბაქოში განაცხადა, რომ კაპიტან ტიგ-ჯონსს საერთო არა აქვს რა ამ საქმესთან. მე არ მიმაჩნია მართებულად განცხადების გაკეთება ბრალდებული პირის უდანაშაულობის შესახებ ასეთი გზით და, კვლევა-ძიების მოხდენამდე. დღის წესრიგში დგას აგრეთვე საკითხი დრუჟკინის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ამ საქმის მოწმეს და შეიძლება მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილეც იყოს. რამდენადაც ვიცი, ეს კაცი ბრიტანეთის მისიის მიერ იგზავნება ლონდონში. იგი დაკითხული უნდა იქნას ამ საქმის გამო გამგზავრებამდე.

გენერალი: წარმოადგენთ თუ არა თქვენ ახლა თქვენს დამამტკიცებელ საბუთებს.

ჩაიკინი: დრუჟკინმა განუცხადა მთელ რიგ საზოგადო მოღვაწეებს იმიერ-კასპიის ოლქში, რომ კაპიტან ტიგ-ჯონს პასუხისმგებელია დასახელებულ პირთა მკვლელობისათვის. ის პირები, რომლებსაც ეს განუცხადა დრუჟკინმა, გამოწვეული იქნებიან შემდეგში.

გენერალი: თანახმა ხართ თუ არა თქვენ დაასახელოთ ისინი ახლავე?

ჩაიკინი. მე ვფიქრობ, იმ პირებმა, რომლებსაც ელაპარაკა დრუჟკინი, ამჟამად წერილობით უნდა გვაცნობონ დრუჟკინის ინფორმაცია. მე არ ძალმიძს დავასახელო ის პირები, რომლებსაც ელაპარაკა დრუჟკინი, ვინაიდან პოლიტიკური სიტუაცია იმიერ-კასპიის მხარეში ისეთია, რომ თუ დავასახელებ მათ იმაზე უფრო ადრე, ვიდრე საგამომძიებლო კომისია მოეწყობოდეს, ადვილად შეიძლება ისინი მოკლან.

გენერალი: მე მესმის, ჩაიკინი აცხადებს, რომ დრუჟკინმა განუცხადა ვიღაც პირებს იმიერკასპიის მხარეში, კაპიტანი ტიგ-ჯონს არის პასუხისმგებელი აღნიშნულ მკვლელობისათვის.

ჩაიკინი: დრუჟკინმა განუცხადა მთელ რიგ პასუხისმგებელ პირებს იმიერკასპიის მხარეში, რომ ტიგ-ჯონსს დანაშაულებრივი მონაწილეობა მიუძღვის 26 კაცის მკვლელობაში.

გენერალი: დაასახელებთ თუ არა თქვენ ახლა აღნიშნულ პირთა გვარებს?

ჩაიკინი: მე გთხოვთ თქვენ მიპასუხოთ ჩემს შეკითხვაზე. თანახმა ხართ თუ არა შექმნათ საგამომძიებლო კომისია, რომლის შესახებაც მე გთხოვეთ?

გენერალი: მე მინდა თქვენ ილაპარაკოთ საქმის შინაარსზე. თქვენ ამბობთ, რომ მოგეპოვებათ დამამტკიცებელი საბუთები, მე გთხოვთ წარმოადგინოთ ისინი.

ჩაიკინი: თქვენ არ მიგაჩნიათ დამამტკიცებელ საბუთად ის, რაც მე უკვე გითხარით?

გენერალი: მე ჩემს აზრს არ გამოვთქვამ. მე წინადადებას გაძლევთ წარმოადგინოთ იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ კაპიტანი ტიგ-ჯონსი პასუხისმგებელია აღნიშნული პირების მკვლელობისათვის 1918 წლის 20 სექტემბერს.

ჩაიკინი: ჩემის აზრით, მე უკვე წარმოვადგინე დამამტკიცებელი საბუთები (ამოხეული გაზეთში).

ჩაიკინი: ჩემი დამამტკიცებელი საბუთების ნაწილი მე უკვე წარმოვადგინე. მე თანახმა ვარ წარმოვადგინო დარჩენილი ნაწილიც, თუ თქვენ მომცემთ იმის გარანტიას, რომ არავითარი საფრთხე არ მოელით ამ საქმის მოწმეებს, რომლებიც თურქესტანში იმყოფებიან.

გენერალი: გთხოვთ ისევე მოიქცეთ აქაც. თქვენ განაცხადეთ, რომ თანახმა ხართ მოიქცეთ ასე.

ჩაიკინი: იმის გამო, რომ მე ვარ ბაქოს სოციალისტური კომიტეტის წევრი, სავსებით ბუნებრივია, რომ მე წარვუდგინო ჩემი დამამტკიცებელი საბუთები აღნიშნულ კომიტეტს, რაც შეეხება ჩემი პასუხის არადამაკმაყოფილებლად მიჩნევას, მე საჭიროდ ვთვლი თურქესტანში მცხოვრებ მოწმეთა უშიშროების უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრას.

გენერალი: მეათეჯერ გიმეორებთ, თქვენ გამოცხადდით აქ იმისათვის, რომ წარმოგედგინათ ბრიტანეთის მისიისათვის თქვენს განკარგულებაში არსებული დამამტკიცებელი საბუთები. თქვენ ახლა იმყოფებით ბრიტანეთის მისიის დაწესებულებაში, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ წარმოადგინოთ აღნიშნული საბუთები, თქვენ იწყებთ ლაპარაკს კომისიებზე, იმ ადამიანთა უშიშროებაზე, რომელნიც აქედან 1000 მილის მანძილზე ცხოვრობენ.

ჩაიკინი: მინდა მოგაგონოთ თქვენ ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა: დროებითი მთავრობის დროს მე ვიყავი დანიშნული ამიერ-კავკასიის საგანგებო რწმუნებულად. მე მზად ვარ წარმოვადგინო ყველა დამამტკიცებელი საბუთი, რომელთა შესახებაც მე აქ ვილაპარაკე, მაგრამ მხოლოდ ჩემ მიერ წამოყენებულ პირობით. თურქესტანის კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა გენერალ მილსონს ლონდონში და სთხოვა გააკეთოს განცხადება თემთა პალატაში აღნიშნულ მკვლელობათა შესახებ.

გენერალი: ჩვენ უკვე ერთი საათია ვლაპარაკობთ ათასგვარ საგანზე თქვენი სოციალური მდგომარეობის შესახებაც კი, მაგრამ თქვენ არ გსურთ წარმოადგინოთ ყველა დამამტკიცებელი საბუთი იმ ბრალდების დასადასტურებლად, რომელსაც თქვენ უყენებთ ინგლისელ ოფიცერს მკვლელობაში. ხომ არ გადასდგამთ რაიმე ნაბიჯს ამ მიმართულებით?

ჩაიკინი: მე უარს ვაცხადებ ამ საქმეზე ვიმსჯელო, ვინაიდან ჩანს, თქვენ არ გსურთ საგამომძიებლო კომისიის მოწვევა და უარს ამბობთ უზრუნველყოთ იმ მოწმეების უშიშროება, რომელთა დასახელებაც მე შემეძლო. ამას გარდა დრუჟკინი აქ არ არის.

გენერალი: განა მარტოდ დრუჟკინის აქ არყოფნა გიშლით ხელს ილაპარაკოთ?

ჩაიკინი: ორი მდგომარეობა განსაკუთრებით მაკავებინებს თავს სურვილისაგან, გამოვთქვა ჩემი აზრი: პირველი—საგამომძიებლო კომისიის შექმნა, მეორე—იმიერ-კასპიის ოლქის მცხოვრებთა უშიშროება. სანამ მიპასუხებდეთ ამ კითხვაზე, მე მინდა გავიგო, თანახმა ხართ თუ არა შექმნათ კომისია, რომლის შესახებაც მე გთხოვეთ?

გენერალი: თქვენს დეპეშაში თქვენ განაცხადეთ, რომ მზად ხართ წარმოადგინოთ დამამტკიცებელი საბუთები ბრიტანეთის მისიაში, ე. ი. ჩემთან. შეასრულებთ თუ არა თქვენ ამ დაპირებას?

ჩაიკინი: სანამ მოწვეული იქნებოდეს საგამომძიებლო კომისია, მე [illegible] აღნიშნულ პირთა დასახელებას, ვინაიდან არსებულ პირობებში მოწმეები შეიძლება მოკლულნი იქნან, სანამ კომისია შეიკრიბებოდეს.

გენერალი: მაშასადამე, თქვენი განცხადება, თითქოს თქვენ მოგეპოვებათ ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებსაც თანახმა ხართ წარუდგინოთ ბრიტანეთის მისიას—არ არის სწორი. მე მსურს ვილაპარაკო საქმის შინაარსზე და უარს ვამბობ ვისაუბრო ამინდზე, ან თქვენს საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, ან საერთოდ რაიმე სხვა გარეშე საგნებზე.

თქვენ განაცხადეთ, რომ წარმოადგენთ დამამტკიცებელ საბუთებს, მაგრამ თქვენ ეს არ შეასრულეთ.

ჩაიკინი: თქვენს მოსაწვევ ბარათში არ ყოფილა ნათქვამი, თუ რის შესახებ უნდა გველაპარაკნა და მე ვფიქრობ, მე ნება მომეცემა ვიქონიო მსჯელობა ამ საკითხზე დეტალურად.

გენერალი: მე უკვე ერთი საათი და 25 წუთია ველი დამამტკიცებელ საბუთებს და ჯერჯერობით არაფერი მსმენია მათ შესახებ. თქვენ გქონდათ ერთი საათი და 20 წუთი დამამტკიცებელი საბუთების წარმოსადგენად და ამ დროის განმავლობაში თქვენ გააკეთეთ მხოლოდ ორი განცხადება, რომლებიც ეხება ბატონ დრუჟკინს. მე ახლა ვთხოვ ბატონ დრუჟკინს მიპასუხოს ამ განცხადებებზე (შემოდის ბატონი დრუჟკინი).

ჩაიკინი: მე მივუთითე ორ პირზე: ბატონ დრუჟკინზე და ზიმინზე, როგორც ისეთ პირებზე, რომლებიც დაკითხული უნდა იქნან. მე არ შემიძლია დავეთანხმო საგამომძიებლო კომისიის შექმნაზე ამ ორი პირის და მე შეუძლებლად მიმაჩნია ამ ოთახში დარჩენა, თუ აქ დაიწყება ასეთი გამოძიება. (იხ. ბაქოს გაზეთი „ედინაია როსია“, № 71, 1919 წ.).

(„იზვესტია“ 1919 წ. 23 აპრილი, № 85—637).

---

26 კომისრის დახვრეტის 15 წლისთავისათვის

ლენინის და სტალინის დოკუმენტები

რედაქციისაგან

ვაქვეყნებთ იმ დეპეშის ტექსტს, რომელიც ამხ. სტალინმა გაუგზავნა შაუმიანს ინგლისელთა მოწვევის საკითხზე, აგრეთვე ლენინის დეპეშებს ამავე საკითხზე. ტექსტს ვიძლევით იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელიც დაცულია ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს არქივში.

ამხ. სტალინის დეპეშა გაგზავნილია ლენინის სახელზე იმ მიზნით, რომ მიეწოდებია მისთვის ინფორმაცია იმ პასუხის შესახებ, რომელიც მისცა სტალინმა შაუმიანს მისი შეკითხვის პასუხად.

ამხ. სტალინის დეპეშა

„მოსკოვი, სახკომსაბჭო. ლენინს ცარიცინიდან. სამხედრო. მიღებულია 21 ივლისს 1918 წ. 21 და 50 წ. მოსკოვი სახკომსაბჭო ლენინს, ჩიჩერინს. როგორც ბაქოდან იტყობინება შაუმიანი ესერ - დაშნაკები საბჭოში მოითხოვენ ინგლისელთა მოწვევას ბაქოში, ვითომდა დამხმარეებად. არმიის და ფლოტის ნაწილი, რომელიც მოექცა ინგლისელებისა და ფრანგების აგიტაციის გავლენის ქვეშ, მოითხოვს ამასვე. შაუმიანი მოითხოვს ჩემგან სასწრაფო ოფიციალურ ცნობას მთავრობის აზრის შესახებ. მე საჭიროდ ვსცანი გამეგზავნა ბაქოში შემდეგი შინაარსის დეპეშა: „უკანასკნელი ცნობებით, ბაქოს საბჭოს ნაროდნიკული პარტიები ცდილობენ ვარიაგების—ინგლისელების მოწვევას, ვითომდა დახმარების მისაღებად თურქდამპყრობელთა წინააღმდეგ.

თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისელებისა და ფრანგების მხრივ ასეთი დახმარების გამოცდილებას მურმანსა და შორეულ აღმოსავლეთში, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ნაროდნიკული ფრაქციები, თვისდა შეუგნებლად, ამზადებენ ნიადაგს ბაქოს და მისი რაიონების ოკუპაციისათვის. ამასთან ერთად უდავოა, რომ ნაროდნიკული პარტიების ცდა კუსტარულად გადასჭრან საერთაშორისო პოლიტიკის საკითხი იმ დროს, როცა საბჭოების სრულიად რუსეთის მე-5 ყრილობამ მტკიცედ დაუჭირა მხარი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებელ პოლიტიკას, როგორც გერმანელებისა, ისე ინგლისელებისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას, ნაროდნიკული პარტიების ასეთი ცდა წარმოადგენს რუსეთის ხალხების ორგანიზებული ნებასურვილის უხეშ დარღვევას ინგლისელებისა და ფრანგების ერთი მუჭა იმპერიალისტების სასიამოვნოდ. სრულიად რუსეთის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მოვითხოვ ბაქოს მთელი საბჭოსაგან, არმიისა და ფლოტისაგან სავსებით დაემორჩილონ მთელი რუსეთის მუშებისა და გლეხების ნება-სურვილს. საბჭოების მე-5 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მოვითხოვ ბაქოს სახკომსაბჭოსაგან უყოყმანოდ გაატაროს ცხოვრებაში დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკა და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს უცხოეთის კაპიტალის აგენტების წინააღმდეგ სათანადო მისიების წევრთა დაპატიმრებამდეც კი.

სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებით, სახალხო კომისარი—

სტალინი“.

ლენინის დეპეშა

„გადაცემულია რადიოთი 22 ივლისს, 8 საათსა და 10 წუთზე. ბაქო. დეპუტატთა საბჭო შაუმიანს. შეიძლია მხოლოდ სავსებით მხარი დავუჭირო სტალინის დეპეშას ბაქოს დეპუტატთა საბჭოს ნაროდნიკული ფრაქციების წინააღმდეგ და საბჭოების მე-5 ყრილობის ნება-სურვილის შესახებ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლენინი“.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის განყოფილების დაარსება საქართველოში

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის დადგენილებით საქართველოში დაარსდა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის განყოფილება, რომელიც შედის იმავე აკადემიის ა-კ. ფილიალის შემადგენლობაში, განყოფილების ჩამოყალიბების ძირითადი მიზანია — სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა რესურსების შესასწავლად და ადგილობრივი და საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის გაერთიანება სხვადასხვა სამეცნიერო-საგამოკვლევო პრობლემების შესწავლისას.

სამეცნიერო აკადემიის საქ. განყოფილება თავის მუშაობას განავითარებს შემდეგი დარგების მიხედვით —გეოლოგია, გეოფიზიკა, ქიმია (თეორიული და გამოყენებითი) ნიადაგის მცოდნეობა და ბიოლოგია.

განყოფილების მუშაობაში ჩაბმული იქნებიან—ცნობილი მეცნიერები აკადემიკოსები და საკავშირო აკადემიის წევრი - კორესპონდენტები; მათ შორის: აკადემიკოსი—ლევინსონ-ლესინგი. აკად. ნ. ვავილოვი, აკად. რიხტერი, წევრი - კორესპონდენტები—ნიკიფოროვი, ბელიანკინი, მუში, გამოვი და სხვ.

აკადემიკოსმა პისარჟევსკიმ, უკვე განაცხადა თანხმობა, რომ საქართველოს განყოფილებაში უხელმძღვანელოს ქიმიის დარგს.

განყოფილების მუშაობაში ჩაბმული იქნებიან საქართველოს სამეცნიერო ძალები. საქ. განყოფილების პრეზიდიუმის წევრად შეყვანილი არიან — პროფ. მუსხელიშვილი, პროფ. ა. ჯანელიძე, პროფ. თვალჭრელიძე, პროფ. ბერიტაშვილი და სხვ.

სამეცნიერო აკადემიის საქ. განყოფილების მუშაობა გაიშლება არსებული სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების—ქიმიური და გეოლოგიური ინსტიტუტების, ბიოქიმიური და ნიადაგის მცოდნეობის ლაბორატორიების, ბოტანიკური ბაღების და სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბაზაზე. განყოფილების დაარსებასთან დაკავშირებით ტფილისში ეწყობა გეოფიზიკური ინსტიტუტი და ჩატარდება საქართველოს სეისმიური დარაიონება.

სამეცნიერო აკადემიის საქ. განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია აკადემიკოსი ნიკო მარი. მის მოადგილედ ამხ. კ. ორაგველიძე.

საქ. განყოფილების პრეზიდიუმის პირველი სხდომა შესდგა 22 სექტემბერს. სხდომაზე მიღებულ იქნა განყოფილების მუშაობის გეგმა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალისათვის. ამჟამად განყოფილება ამუშავებს 1934 წელში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების გეგმებს.

ბამბა

დანაკარგების მოსპობასთან ერთად

უზრუნველვყოთ აღებული ბამბის მაღალი ხარისხი

ბადიაურის მიმღები პუნქტი მოუმზადებელი შეხვდა სეზონს

(გურჯაანი, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კანდაურის, ჯიმითის და ბოგ[illegible]ნოვის [illegible] ნაჭრების ფარ[illegible]ლებში ბამბის კრეფა დაიწყო. ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივებში აღნიშნული იყო, რომ ბამბის კრეფას მიმღებ პუნქტში ყოველმხრივ მომზადებულნი უნდა შეხვედროდნენ ჯერ კიდევ კრეფის დაწყებამდე, მაგრამ როგორც შემოწმებით აღმოჩნდა, ბადიაურის მიმღები პუნქტი ჯერ კიდევ არ არის მზად მოკრეფილი ბამბის მისაღებად.

პუნქტის ხელმძღვანელებს დღემდე არ მოუმარაგებიათ ბარდანები, რომლებიც შეუძლებელია ბამბის გადაზიდვა. თბილისიდან მიღებული 3040 ც. ბარდანის 60 პროცენტი დამპალი და დახეული აღმოჩნდა.

არც საწყობია მზად ბამბის მიღებისა და მისი წესიერი შენახვისთვის ამ საწყობის სახურავი დამპალია და წყალი ჩადის, საწყობის შეკეთებისთვის დღემდე არავის უფიქრია.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ იკრეფება შემოუსვლელი ბამბა, რაც იწვევს კარგი ხარისხის ბამბის დანაგვიანებას და საერთოდ ბამბის ხარისხის გაუარესებას.

მიმღებ პუნქტს დღემდე შესყიდული აქვს 3.500 კილო ბამბა, როგორც აღვნიშნეთ, ბამბა ჯერ კიდევ არ არის დაბინავებული და გაფუჭებისაგან დაცული.

ჩვენ ვეკითხებით პუნქტის გამგე ნაცვლიშვილს, ბამბის მიმღებს შოშიაშვილს და საწყობის გამგე შანიაშვილს: იციან თუ არა, რომ მიღებული ბამბის გაფუჭებისათვის უშუალო პასუხისმგებელნი არიან და თუ იციან, რით უნდა აიხსნას, რომ დღემდე არ მიუღიათ რაიმე ეფექტური ზომები ბამბის მიღებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად?

არსებული მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. მიმღები პუნქტის ხელმძღვანელებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად; პირველ რიგში საჭიროა ბარდანების მომარაგება და ბამბის საწყობის წესრიგში მოყვანა.

მ. ზარანდია.

კონკურსი ბამბის აღებაში კომკავშირის უკეთესი მონაწილეობისათვის

კომკავშირის შუა-აზიის ორგანიზაციის მიერ საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა რესპუბლიკანური კონკურსი. კონკურსი გამოცხადებულია მიმდინარე წლის ბამბის მოსავლის აღებისა და დამზადების გეგმების შესრულების საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის მონაწილეობის გაძლიერების მიზნით.

კონკურსის ამოცანებს წარმოადგენს: შრომის საუკეთესო ორგანიზაცია საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, შრომის დისციპლინის განმტკიცება, ბამბის აღებისა და დამზადების გეგმების თავის დროზე და მთლიანად შესრულება. ბრძოლა ბამბის აღებისა და შენახვის სამუშაოების მაღალი ხარისხისათვის, ბამბის აღების სამუშაოების უზრუნველყოფა მუშა-ხელით და ტარით; ფართო მასობრივ-კულტურული მუშაობის გაშლა მებამბეობის მეურნეობებში, ფართო მასების ჩაბმა სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და სხვა.

კონკურსის ჩასატარებლად შედგენილია რესპუბლიკური კომისია საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. შახბატიანის, შენგელიას, თურქიას (საქ. ბამბა), სიხარულიძის (ტრაქტორცენტრი) და მახარაძის („ახალგაზრდა კომუნისტი"), შემადგენლობით.

ანალოგიური კომისიები რაიონებში იქმნება კომკავშირის რაიკომის მდივნის, პოლიტგანყოფილებების უფროსის მოადგილის კომკავშირის ხაზით, მიწათმოქმედების განყოფილების, და ადგილობრივი რაიონული გაზეთის რედაქციის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ყარაიას რაიონი შეუდგა ბამბის აღებას: სურათზე: ბამბის კრეფა ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში

კარგი მუშაობის მაგალითი

(ხარაგოულის რაიონი)

საკავშირო სოცშეჯიბრებაში მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის მესამე კვარტალის გეგმის 20 სექტემბრამდე შესრულებაზე — საქართველომ გამარჯვება მოიპოვა. მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის გეგმა 19 სექტემბრისათვის შესრულებულია 13 პროცენტის გადაჭარბებით. ამ კამპანიაში ცალკე რაიონებმა დამკვრელური მუშაობის მაგალითები მოგვცეს. ავიღოთ ხარაგოულის რაიონი. იგი აგვისტოს ბოლოებს ჩამორჩენილი იყო, შესრულებული ჰქონდა კვარტალური გეგმის მხოლოდ 37,7 პროც.

გამოცხადდა საკავშირო შეჯიბრება თუ არა, რაიონის პარტიული ორგანიზაციები დაუყოვნებლივ ჩაებნენ მუშაობაში, გამოყვეს აქტივისტ მუშათა და კოლმეურნეთა ბრიგადები და მიამაგრეს ისინი ცალკე სოფლებსა და კოლმეურნეობებზე. ბრიგადები ყოველ დღეს აბარებდნენ სასოფლო საბჭოს და მიმაგრებულ ამხანაგებს წინდღით ჩატარებულ მუშაობის ანგარიშს. სას. საბჭოს და რაიონს ამის გამო საშუალება ჰქონდათ ყოველდღე შემოწმებიათ, თუ რომელი სოფელი ჩამორჩებოდა, როგორ მიმდინარეობდა ცალკე წყაროების გეგმების შესრულება და სასწრაფოდ მიეღოთ ზომები ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად. ასეც მოხდა. ხარაგოულის რაიონმა მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის გეგმა ვადაზე 18 დღით ადრე შეასრულა, მაგრამ გამოირკვა, რომ ცალკე წყაროებში (ანაბრები, სახელმწიფო სესხი, საპაიო სამომხ. კოოპერაციაში, ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები) ადგილი აქვს ჩამორჩენას. მყისვე გაძლიერდა მუშაკების ყურადღება ამ საკითხისადმი და მდგომარეობაც დაკვრითი წესით გამოსწორდა. რაიონის 14 სას. საბჭოდან მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის გეგმა 18 სექტემბრისათვის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებული ჰქონდა 13 სას. საბჭოს.

რაიონს შესრულებული აქვს კვარტალური გეგმის 162,2 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ აქ შედარებით თანაბრად არის შესრულებული ცალკე წყაროების გეგმები. სახელდობრ: საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულებულია 123 პროც., სახ. სესხი სოფლად 96 პროც., ქალაქად — 93 პროც., პირადი დაზღვევა — 109 პროც., ანაბარები შემნახველ სალაროში — 83 პროც., საპაიო სამომხ. კოოპერაციაში — 83,5 პროც., კულტგამოსაღები — 126 პროც., სას. სამ. გადასახადი 140 პროც., სახდაზღვევა — 288 პროც., თვითდაბეგვრა — 255 პროც., ვადიანი და ვადაგადაცილებული სესხები სას. სამ. კრედიტის ხაზით — 100 პროც.

მეტი ყურადღება მისაღები ბამბის ხარისხს

წელს საქართველოს მებამბეობის რაიონებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 8300 ტონა ბამბა. აქედან, ხელშეკრულების მიხედვით, კოლექტიურმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა — 7700 ტონა, ხოლო საბჭოთა მეურნეობამ—600 ტონა.

ბორჩალოს რაიონმა სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 4.850 ტონა, ლიუქსემბურგის რაიონმა—448 ტონა, სიღნაღის 551, გურჯაანის—230 ტონა, საგარეჯოს—177 ტონა და ყარაიას—2044 ტონა.

ბამბის დამამზადებელი გაერთიანების ცნობით, 22 სექტემბრისათვის საქართველოში დამზადებული (შესყიდული) იყო სულ 170,5 ტონა, გეგმის [illegible] პროც. [illegible] ბორჩა[illegible] რაიონში შესყიდული იყო 90,1 ტონა, გეგმის 1,8 პროც. ლიუქსემბურგის რაიონში—1,1 ტონა—0,5 პროც., ყარაიას—37,9 ტონა—1,8 პროც., სიღნაღის—37,9 ტონა — 6,8 პროც. გურჯაანის—0,7 ტონა, —0,3 პროც. და საგარეჯოს—2,8 ტონა, გეგმის 1,6 პროც.

ბამბის შესყიდვის დროს მიმღებმა პუნქტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მისაღები ბამბის ხარისხს და არავითარ შემთხვევაში არ მიიღონ გაუშრობი და დანაგვიანებული ბამბა.

შულავერის ქარხანასთან არსებული მიმღები პუნქტი ამ წესებს იცავს და სერიოზულ ყურადღებას აქცევს ბამბის ხარისხს. სამაგიეროდ ყარაიას ქარხანასთან არსებული შემსყიდველი პუნქტების მიმღები ხარისხს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ამ დღეებში ყარაიას რაიონის ნარიმანოვის, ვოროშილოვის, ლენინის და მსოფლიო ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობებმა შემსყიდველ პუნქტზე მოიტანეს დაუმწიფრად მოკრეფილი, უსუფთაოდ (მიწით, ბამბის პარკის ნაჭუჭებით და სხვ. დანაგვიანებული) ბამბა, რომელიც [illegible] დროს [illegible] იყო მინდვრის მავნებლის მიერ დაზიანებულ ბამბასთან. ბამბის მიმღებს პროტესტი არ განუცხადებია, ისე მიიღო ეს ბამბა.

ამ გარემოებას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება პოლიტგანყოფილებებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პროფკავშირის განყ. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა ჩაატარონ მებამბეობის კოლმეურნეობებში, რომ არავითარ შემთხვევაში არ ექნეს ადგილი უმწიფარი ბამბის მოკრეფას და რომ მოკრეფილი ბამბა ჩაბარებამდე აუცილებლად გაშრობილი იქნეს.

შემსყიდველმა პუნქტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მისაღები ბამბის ხარისხს და ის მებამბე მეურნეობები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ბამბის განზრახ გაფუჭებაში (ვადაზე ადრე მოკრეფა დანაგვიანება და სხვ.), დაუყოვნებლივ მისცენ პასუხისგებაში.

ბამბის ხარისხი დაივიწყეს

ყარაიას ბამბის ქარხანამ ვერ უზრუნველყო მიმდინარე წლის ბამბის მოსავლის სისწორით აღება და ჩაბარება. ქარხანა არ იღებს ზომებს ჩაბარებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კოლმეურნეობები: ნარიმანოვის სახელობისა, ვოროშილოვის სახელობისა, ლენინის სახელობისა და „მსოფლიო ოქტომბერი" აბარებენ ქარხანას დაბალი ხარისხის, მოუსვლელ, ნედლ ბამბას. ქარხნის მიმღებს არც ერთხელ არ შეუდგენია აქტი, არ მიუცია სიგნალი მიღებული ბამბის დაბალი ღირსების შესახებ. მიღებულ სველ ბამბას არ აფენენ გასაშრობად, არამედ ინახავენ ბარდანებში, რაც იწვევს მის კიდევ უფრო მეტად გაფუჭებას. ფარდულის მშენებლობა ბამბის შესანახად ქარხანაში დღემდე არ არის დამთავრებული.

ყარაიას საბჭოთა მეურნეობაში ბამბის კრეფა არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული. ხშირად კრეფენ შემოუსვლელ, დაბალი ხარისხის ბამბას. ყარაიას ქარხნის დირექტორს ეს ფაქტი არ აინტერესებს. ბამბის მექანიზირებული აღება არ არის ორგანიზებული. არსებული „ტურგან-ვაკუუმი" დღემდე არ გამოუცდიათ და არ მოუყვანიათ წესრიგში.

არადამაკმაყოფილებელი ხარისხის ნედლი ბამბის ჩაბარების შემთხვევების მიუხედავად, ქარხანას არ განუმარტავს მებამბეებისათვის მაღალი ხარისხის ბამბის ჩაბარების მნიშვნელობა, **ხარისხის მიხედვით ფასების დაწესების სარგებლიანობა.**

მაღალი ხარისხის ნედლი ბამბის ჩაბარების ორგანიზაციის საკითხები, როგორც ზემოთ დასახელებული ფაქტებიდან ჩანს, გამორჩათ მხედველობიდან ყარაიას ბამბის ქარხნის ხელმძღვანელებს. ეს უაღრესად დიდ მნიშვნელოვანი დეფექტი აღმოფხვრილი უნდა იქნას უახლოეს დროსში. აუცილებლად საჭიროა ყურადღების გამახვილება, რომ არ იქნას მიღებული დაბალი ხარისხის ბამბა, გაიშალოს ფართო მასობრივი მუშაობა კოლმეურნე და ინდივიდუალურ მშრომელ მებამბეთა შორის, უზრუნველყოფილ იქნას დამზადებული პროდუქციის მართებული, მაღალხარისხოვანი შენახვა (ალს).

მავლუდ ფარად ოღლი იცინის

(ახალციხე, დიატომიტის მაღაროები, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

1.600 მეტრი ზღვის დონიდან. სოფელი ქისათიბი. ძველებურად ქვისათიბი, ქვის სათიბი. აქ მოიპოვება ცარცის მაგვარი რბილი მადანი—დიატომიტი, რომელიც ადვილად იფშვნება ხელში და იჭრება დანით, „ითიბება".

დიატომიტს უდიდესი სამრეწველო გამოყენება აქვს. მას ხმარობენ ქიმიურ მრეწველობაში, რეზინის წარმოებაში, იხმარება როგორც იზოლიატორი, როგორც დინამიტის შემადგენელი ნაწილი, როგორც თხიადი შუშის წარმომშობი. თავისი განსაკუთრებული თვისების გამო (დიატომიტი არ ატარებს არც სითბოს, არც სიცივეს) მას იყენებენ აგრეთვე როგორც სამშენებლო მასალას.

დიატომიტს სხვა გამოყენებაც აქვს, მაგრამ ჩამოთვლილიც საკმაოა მის დასახასიათებლად. მოკლედ—დიატომიტი უძვირფასესი მადანია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ახალციხისთანა დიატომიტი არ მოიპოვება არსად მსოფლიოში. დიატომიტი მიდის უმთავრესად საზღვარგარეთ. მისი მთავარი მომხმარებელია - ამერიკა.

დიატომიტზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდებოდა საწარმოო დავალებაც. მაგრამ დიატომიტის წარმოების ძველ ხელმძღვანელობას ეს არ აფიქრებდა. ახალი წესით მუშაობა, ახალი წესით ხელმძღვანელობა აქ საჭიროდ არ მიაჩნდათ. გლეხების სისტემატიური მოტყუება, მუშებისათვის ხელფასის დიდხნით დაგვიანება, მათი საყოფაცხოვრებო პირობების უგულებელყოფა, მადნის ამოღების მტაცებლურად წარმოება, ქეიფი და დროს ტარება, —აი ასეთი იყო დიატომიტის წარმოების დირექტორის ეგიაზაროვის, მისი მოადგილის ტოფაძის, უჯრედის მდივნის ვლ. ყურაშვილის და მაღარკომის თავმჯდომარის მამად დადავის „ხელმძღვანელობა" ამ უაღრესად მნიშვნელოვან საწარმოზე.

დაიქირავებდნენ გლეხის ურმებს დიატომიტის გადასაზიდათ—ფულს არ აძლევდნენ. მეორეთ გლეხს აღარ მოჰყავდა ურემი. სოფელში ნისიად შეიძენდნენ დასაკლავ საქონელს—შემდეგ ფულს აღარ აძლევდნენ გლეხი მოდიოდა მაღაროში სამუშაოდ —ხელფასს თვეობით უგვიანებდნენ. ბოლოს შეიქნა ძლიერი დენადობა, სოფლელები მაღაროს აღარც კი ეკარებოდნენ.

თვითკრიტიკა წარმოებაში ჩახშობილი იყო. თუ ვინმე გაბედავდა ხელმძღვანელობის მხილებას, მას დაუყოვნებლივ მოაშორებდნენ წარმოებას.

მუშათა კვების „გასაუმჯობესებლად" ყიდულობდნენ ფერდებჩაცვენილ პირუტყვს. საქონელი იმდენად დაუძლურებული იყო, რომ საკუთარი ფეხით ასვლა ქისათიბში არ შეეძლო; დააკრავდნენ მარხილზე ფეხებგაბაწრულს აიყვანდნენ წარმოებაში და იმ წამსვე დაკლავდნენ. ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც ასეთი ხორცით მოიწამლა ოთხმოცამდე მუშა.

დიატომიტზე აბანო არ არის. ბინებში გამეფებულია სიბინძურე. ერთმა ინჟინერმა შეიტანა წინადადება: „მოველაპარაკოთ ახალციხის კომუნალური აბანოების სამმართველოს, გავგზავნოთ აქედან მუშები საბანაოდ ავტომობილებით და ავტომობილითვე ამოვიყვანოთ"-ო. მას დირექტორის მოადგილემ ტოფაძემ მაშინვე პირში ბურთი ჩაჩარა და მიაძახა: „ვინ დაგავალა შენ მაგაზე ზრუნვა, ნუ თუ შენ ჩემზე უფრო გიყვარს მუშები"-ო. ინჟინერი გაჩუმდა, ტოფაძეს არაფერი გაუკეთებია აბანოს საკითხის მოსაგვარებლად.

ასეთი ხელმძღვანელობით დიატომიტის წარმოება შორს ვერ წავიდოდა. გეგმები სისტემატიურად იშლებოდა. საექსპორტო დავალების შეუსრულებლობის გამო ქვეყანას აკლდებოდა დიდძალი ვალუტა.

აგვისტოში დიატომიტის ხელმძღვანელობა შეიცვალა.

მუშაობის დაწყებისთანავე ახალ ხელმძღვანელობას მიეცა საბრძოლო დავალება —1-დან 12 სექტემბრამდე დაემზადებია — 2.200 ტონა საექსპორტო დიატომიტი. ამ დავალების შესასრულებლად ყოველდღიურად საჭირო იყო—ამოღებაზე 45 მუშა, ხოლო გაშრობაზე—580; ფაქტიურად ამოღებაზე სექტემბერში 28 მუშაზე მეტი არას დროს არ ყოფილა, გაშრობაზე კი მხოლოდ 2 სექტემბერს მუშაობდა 120 კაცი, დანარჩენ დღეებში მუშების რიცხვი ქანაობდა 34-დან 110-დე.

მუშა-ხელის ასეთი დიდი ნაკლებობის გამო საექსპ. დავალება შეუსრულებელი დარჩა. სექტემბერში ყოველდღიურად ამოღებული უნდა იქნას 184 ტონა საექსპორტო დიატომიტი, ფაქტიურად საშუალოდ იღებენ 135,3 ტონას. სექტემბრის პირველ ნახევარში სულ ამოღებული უნდა ყოფილიყო 2760 ტონა საექსპორტო დიატომიტი, სინამდვილეში ამოიღეს 2028 ტონა, გეგმის 73,47 პროცენტი.

უარესი მდგომარეობაა გაშრობის დარგში. გეგმით სექტემბრის პირველ ნახევარში დამზადებული უნდა ყოფილიყო 2775 ტონა საექსპორტო დიატომიტი, ფაქტიურად დამზადდა 477,3 ტონა, გეგმის 17,15 პროცენტი.

თუმცა ახალმა დირექციამ (დირექტორად დანიშნულია ქუთაისის ქალაქის საბჭოს ყოფ. თავმჯდომარე ამხ. ი. ხიხაძე) თავისი მთავარი ყურადღება მუშა-ხელის შეგროვებას მიაქცია, მაგრამ საჭირო ეფექტს მაინც ვერ მიაღწია.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა კვება. მუშებს ეძლევათ საუზმე, სადილი და ვახშამი. სადილი თითქმის ყოველდღე ხორციანია, საკმაოდ მოეპოვებათ ბოსტნეული საკუთარ საგარეუბნო მეურნეობიდან. კვების გაუმჯობესებამ შეაჩერა მუშათა დენადობა ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაუმჯობესდეს მუშების საყოფაცხოვრებო პირობების სხვა მხარეებიც. კერძოდ ეს უნდა ითქვას ბინებზე. წარმოებას ბინები ცოტა აქვს. ბინით დაკმაყოფილებულია მხოლოდ 60 კაცი. რომ მოემატოს მუშები, მათ ვერ შეინარჩუნებენ, რადგან არ არის ბინები. საერთო საცხოვრებლებში სივიწროვეა. არის ოთახები, სადაც რამდენიმე სხვადასხვა ოჯახი ცხოვრობს ერთად. ბინებში გამეფებულია უსუფთაობა. თუმცა სისუფთავის დაცვას უკანასკნელად სერიოზული ყურადღება მიექცა.

დიატომიტის წარმოებას ბევრი სატკივარი აწუხებს, მაგრამ მათ შორის ყველაზე მწვავეა ტრანსპორტის საკითხი. დიატომიტს აქვს 18 საბარგო მანქანა, აქედან მუშაობს მხოლოდ ერთი, ისიც დღეს-ხვალ დადგება. მიზეზი? მიზეზი შინების და სათადარიგო ნაწილების უქონლობაა. ბევრჯერ დასვეს დიატომიტის წარმოების ხელმძღვანელებმა ეს საკითხი სათანადო ორგანიზაციებში, მაგრამ პრაქტიკული დახმარება დღემდე ვერსაიდან მიიღეს.

რომ არ დაბრკოლდეს საექსპორტო დიატომიტის გადაზიდვა, დირექცია იძულებულია დაიქირაოს კერძო ურმები და 1 მან. 20 კაპ. აძლიოს ტონა-კილომეტრის გადაზიდვაში. კურიოზია, მაგრამ ფაქტია: ერთი ტონა დიატომიტის გადაზიდვა ქისათიბიდან ბორჯომამდე ჯდება 76 მანეთი, მისი გასაყიდი ფასი კი 90 მანეთს უდრის. ეს გამოწვეულია იმით, რომ შინების უქონლობის გამო წარმოება მოკლებულია, საშუალებას გამოიყენოს საკუთარი ავტოტრანსპორტი და კერძო საჰაპანო ტრანსპორტით ისარგებლოს. ეს აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას. მუშაობის უყაირათოთ წარმოებისა და დიდი ზედნადები ხარჯების გამო დიატომიტის წარმოება წლის დაწყებიდანვე ზარალით მუშაობს. თუ ასე გაგრძელდა ეს ზარალი წლის ბოლომდე მიაღწევს მილიონ მანეთს.

კერძო ურმები, გარდა იმისა, რომ ძვირი ჯდება, ვერ ასწრებენ დამზადებული პროდუქციის გაზიდვას. ამჟამად ყველა საწყობი გადატვირთულია გამზადებულ საექსპორტო დიატომიტით. თუ საწყობები საჩქაროთ არ განიტვირთა მალე ახალი პროდუქციის დასაწყობი ადგილიც აღარ იქნება. ურმებით კი მათი განტვირთვა ძნელია, ურემი მანძილს ქისათიბიდან ბორჯომამდე გადის ორ დღეში, ავტომობილი კი ამ გზაზე დღეში სამ-ოთხ რეისს აკეთებს და უფრო მეტიც მიაქვს. ყოველდღიურად კარიერებზე ამოღებული უნდა იქნას 184 ტონა დიატომიტი, უნდა გაიზიდოს ამდენივე, ფაქტიურად კი გაზიდვა საშუალოდ არ აღემატება 20 ტონას. ეს მთელი სიმწვავით აყენებს საკითხს დიატომიტის საავტომობილო პარკის საჭირო მოწყობილობით უზრუნველყოფის შესახებ. საქართველოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები შეჩერებული ავტომანქანების ამუშავებლად.

⁂

დიატომიტი რბილი და მსუბუქი მადანია. მისი მოჭრა არ არის ძნელი. დიატომიტის წარმოებაში მთავარია არა ამოღება, არამედ გაშრობა. ამოღებული დიატომიტი 50 პროცენტამდე სინესტეს შეიცავს. საჭიროა მისი გაშრობა. გაშრობა კი მზეზე ხდება. მექანიკური შრობა არ არის მოწყობილი. დიატომიტის ნატეხებს ხუხულებად აწყობენ და ისე აშრობენ. გაშრობას სჭირდება სამი-ოთხი დღე. ხუხულები მინდორშია დადგმული დიატომიტი წვიმას ვერ იტანს თუ [illegible] დიატომიტი დასველდა მას კიდევ რამდენიმე დღე უნდა საბოლოო გაშრობამდე. წარმოებას არ აქვს არც საკმაო ფარდულები და არც ბრეზენტები, რომ დაიცვას გამომშრალი დიატომიტი წვიმისაგან.

დიატომიტის გაშრობაზე მუშაობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც ერთგვარ კვალიფიკაციას მოითხოვს. აქ მუშის მოვალეობაა გააშროს დიატომიტი, გაასუფთაოს ის (გაწმინდოს ჟანგებისაგან), ჩაყაროს ტომრებში და თავი მოუკეროს მათ. თვითეულ მუშაზე დღეში ნორმად მიცემულია 7 ტომარი.

ახალი მუშები ნორმას ვერ ასრულებენ. მაგრამ საკმარისია მათ რამდენიმე დღე იმუშაონ, აითვისონ თავისი საქმის ტექნიკა, რომ ნორმას გადააჭარბონ. წარმოებას ჰყავს მუშები, რომლებიც გეგმას 100 და მეტი პროცენტით აჭარბებენ. ასეთებია მუხბარ მავლუდ ოღლი, იარხოვა ეკატერინა, ოუშჩენკო მარიამ, ვეიმერ მარიამ, მახინინა პაულინა, შელიმუნდ ნინა, მუხინა ფენია. ბრიგადირებიდან საუკეთესოდ მუშაობენ ივანე ლანგი და იზათ მურად ოღლი.

დიატომიტის გაშრობაზე სულ მუშაობს 36 ძირითადი მუშა, მათ შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქისათიბელ ღარიბ გლეხს მავლუდ ფარად ოღლის, რომელიც სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. მავლუდ ფარად ოღლი 60 წლისაა, იგი სულ ორი თვეა, რაც წარმოებაში მუშაობს, მაგრამ უკვე საკუთარი თავისით შეისწავლა დიატომიტის გაშრობის საქმე. მას შრობის საკუთარი მეთოდი აქვს. ის ქვას ხუხულებად კი არ აწყობს, არამედ მიწაზე ჰშლის და ხშირად აბრუნებს, რათა თანაბრად გაშრეს. ამით ამოკლებს შრობის ვადას. მის მიერ გაშრობილ ქვას წმენდა აღარ სჭირდება. სექტემბრის პირველ ნახევარში ნორმით გათვალისწინებულ 150 ტომარა დიატომიტის ნაცვლად მან დაამზადა 393 ტომარა.

საექსპორტო დიატომიტის დამზადება გრძელ პროცესს შეიცავს: კარიერიდან ამოღება, ხუხულებად დადგმა, გამშრალი დიატომიტის გადარჩევა, ფარდულებში გადაზიდვა, ჟანგის და ცუდი ხარისხის ქვისაგან გაწმენდა, ტომრებში ჩაყრა, გატენა და თავების გადაკერვა, გამზადებული ტომრების საწყობში გადაზიდვა.

მზიან დარში დიატომიტის საშრობ მოედანზე გავლა არც ისე ადვილია. თეთრი მადნიდან ანარეკლი მზის სხივები თვალს სჭრის, ხედვა გიჭირს. აქ საჭიროა სპეციალური სათვალეები, რაც წარმოებას არ გააჩნია. მაგრამ მავლუდ ფარად ოღლის მოხუც თვალებზე მზე ვერ მოქმედობს.

აი, დღესაც ფართოდ გაუშლია ბრეზენტი მოხუც მავლუდს. ის სხვებისაგან განცალკევებით მუშაობს, არ უყვარს მუშაობის დროს ბაასი. ხანდახან სახლიდან დაიბარებს ხოლმე თავის პატარა ქალს, 13 წლის თურუნჯი მავლუდ ყიზს და მას იხმარებს მადნის გაშრობაში. დროგამოშვებით რძალსაც მოიშველიებს. მავლუდ ფარად ოღლი ერთად-ერთია იქ, რომელიც არ უკრძალავს თავისი ოჯახის წევრ-ქალებს წარმოებაში მუშაობას.

— დილა მშვიდობისა, მავლუდ!—მივესალმე მე. მინდა გამოვესაუბრო და გავიგო მოხუც იზოტოვის საწარმოო „საიდუმლოება".

— მავლუდ, როგორ ავსებ შენ დღეში 25—30 ტომარს, როდესაც სხვები 7—10 ძლივს ავსებენ?

— მავლუდ ფარად ოღლი იცინის. კმაყოფილების ნიშნად დინჯად გადაისვამს ხელს თხელ წვერზე, აიღებს ცალ ხელში ჩაქუჩს, მეორეში—დიატომიტის ნატეხს, შეატრიალებს მას ჰაერში და ჩაქუჩის მოხდენილი დარტყმით კოხტად გააპობს შუაში.

— მე ქართული კარგად არ ვიცი. საერთოდ, ლაპარაკი არ მეხერხება — ცდილობს რუსულად გადმომცეს თავისი აზრები—ვერ აგიხსნით, რაში მდგომარეობს ჩემი მიდგომის შინაარსი. ყველა ხედავს როგორც ვმუშაობ, თუ ვინმე გადაიღებს ამ წესით მუშაობას—დავეხმარები. მავლუდ ფარად ოღლი კვლავ იცინის.

მართლაც, ყველა ხედავს, თუ როგორ მუშაობს მოხუცი მავლუდ. ხედავენ ამას ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციებიც, მაგრამ არავის თავში არ მოსვლია მოეხდინა მავლუდ ფარად ოღლის გამოცდილების განზოგადება, გაევრცელებია იგი სხვა მუშებზედაც. დიატომიტის გაშრობის საქმის ხელმძღვანელის ინჟ. ტ. წერეთლის მითითებით რამდენიმე მუშამ მიბაძა მავლუდს და შედეგიც კარგი მიიღო. ამით ამოიწურა ყველაფერი. საჭიროა ამ საქმეს ორგანიზებული ხასიათი მიეცეს. ადგილობრივმა პროფესიონალურმა ორგანიზაციამ უნდა ითაოს მავლუდ ფარად ოღლის გამოცდილების შესწავლა და ხელი შეუწყოს მის მასობრივად გავრცელებას.

პროფესიონალურ ორგანიზაციას დიატომიტის წარმოებაში, საერთოდ, საპატიო როლი ეკისრება. ვერსად ვერ ნახავთ იმდენი ეროვნების წარმომადგენლებს, როგორც ამ პატარა წარმოებაში. აქ მუშაობენ ქართველები, თურქები, სომხები, ბერძნები, რუსები, გერმანელები და ებრაელები. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს დიატომიტის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს. საჭიროა ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა, რასაც დღემდე ყურადღება არ ეძლეოდა.

⁂

ზევით ჩვენ ჩამოვთვალეთ დიატომიტის წარმოების ტკივილები. არაფერი გვითქვამს საწარმოო იარაღების ნაკლებობაზე. დიატომიტის გაშრობაზე მომუშავე თვითეულ მუშას უნდა ჰქონდეს ჩაქუჩი და სპეციალური ჩოთქი მადნის გასაწმენდათ. ამჟამად მთელ წარმოებაში მოიპოვება სულ ხუთი ჩოთქი, ისიც გაცვეთილი. ამის გამო დიატომიტი არ იწმინდება ისე, როგორც საჭიროა. ეს კი სცემს საექსპორტო მადნის ხარისხს.

დიდია დანაკარგები. კარიერებზეც და საშრობ მოედანზეც უკანასკნელ დრომდე ამუშავებდნენ მხოლოდ საუკეთესო მადანს, უფრო დაბალი ხარისხის ქვა და წვრილი ნატეხები გამოუყენებელი რჩებოდა. ასეთი წვრილი ნატეხებიდან მთელი მთებია დადგმული ქისათიბში. ახალმა ხელმძღვანელობამ უნდა გააძლიეროს ნარჩენების გამოყენება და მინიმუმამდე დაიყვანოს დანაკარგების პროცენტი.

850 მილიონი ტონა დიატომიტი—ასეთია ამ ძვირფასი მადნის მარაგი ახალციხეში. წარმოების რაციონალურად გაშლის პირობებში ეს საკმარისია ასეულ წლებისათვის. დიატომიტს დღემდე არ ექცეოდა საჭირო ყურადღება. იგი უნდა გამოვიყვანოთ უყურადღებობის რკალიდან. უნდა დავეხმაროთ წარმოებას გაიმართოს წელში.

და როდესაც ურაველ-ჩაის ნაპირზე, ყოფ. მებატონე დელიბაშის მამულში წამოიჭიმება დიატომიტის საფქვავი ახალი ქარხანა და მადნის მექანიკურად საშრობი მოწყობილობა, ხოლო ახლო-მახლო მთებს დასერავს საჰაერო გზის ქსელი, რომელიც ქარხანას დააკავშირებს კარიერებთან-მაშინ დიატომიტის წარმოების რეკონსტრუქცია დამთავრებული იქნება და მისი ნორმალური მუშაობაც უზრუნველყოფილი.

შალვა ბუაჩიძე.

ახალციხე.

ა. სტეცკი

უფრო უკეთესად მოვაწყოთ მარქსისტულ-ლენინური აღზრდა

წმენდამ გამოამჟღავნა პარტიის დიდი პოლიტიკური ზრდა უკანასკნელ წლებში, ხუთწლიანი გეგმის შესრულებისა და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის საბრძოლო მუშაობის წლებში.

წმენდა იმავე დროს წარმოადგენს პარტიის წევრების იდეურ - პოლიტიკური დონის შემოწმებას. მაგრამ უმართებულო იქნება ამ დონის განსჯა **მხოლოდ** იმის მიხედვით, თუ როგორ უპასუხებენ პარტიის წევრები **ფრიად თეორიული ხასიათის კითხვებზე**, რომლებსაც, უნდა ითქვას, ზოგიერთი კომისიები მაინც იძლევიან მიუხედავად ც. კ-სა და ც. საკონტრ. კ-ს მითითებებისა. მაგალითად, კითხვები ასეთია: „რას სწერდა კაუცკი 1905 წლის რევოლიუციის შესახებ?" „რანაირი იყო როზა ლუქსემბურგის ხაზი 1905 წელს." „რა არის მექანიციზმი და ვინ ავითარებდა მას?"

პარტიის ბევრი წევრი ვერ უპასუხებს იმ კითხვებზედაც, თუ როდის და რა პარტყრილობები იყო; ბევრს მათი გადაწყვეტილებების ჩამოთვლაც არ შეუძლია. მაგრამ წმენდამ ისიც გამოამჟღავნა, რომ პარტიის წევრთა უდიდეს ნაწილს შინაგანად შეუთვისებია პარტიის ის ძირითადი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მის ხაზს განსაზღვრავენ; მან იცის და ესმის ეს გადაწყვეტილებები —ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანები და ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და კოლმეურნეობათა ამოცანები, კულაკების, როგორც კლასის ლიკვიდაცია. შეიძლება აღინიშნოს, რომ ც.კ-ს და ც. საკ. კ-ს იანვრის პლენუმის დადგენილებანი ტექნიკის დაუფლების, კოლმეურნეობათა მშენებლობის კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების შესახებ ჩვენი პარტიის მიერ შესისხლხორცებულია.

პარტიის რიგით წევრს ყოველთვის არ შეუძლია ამ გადაწყვეტილებათა გადმოცემა ზუსტი, გაბასრებული ფორმულებით, მაგრამ იგი მასებს მართებულად გადმოსცემს, იგი აწარმოებს მუშაობას მათი განხორციელებისათვის.

სამრეწველო ფრონტზე უდიდესი გამარჯვებანი, თესვის კამპანიის ჩატარება, მოსავლის აღება და პურის ჩაბარება — აშკარად მოწმობს, რომ პარტიის წევრთა ძირითად მასას პარტიის გადაწყვეტილებანი არა მარტო წიგნიერად აქვს შეთვისებული, არამედ მათთვის ბრძოლაც მთელი ენერგიით წარმოებს.

მაგრამ გარემოება პარტიის თვითეული წევრისაგან უფრო მეტს მოითხოვს. სოციალისტური მშენებლობის გაქანება წლით-წლობით იზრდება. ორგანიზებული სოციალისტური მეურნეობის სფეროში სულ ახალი და ახალი დარგები ებმება და მათი ხელმძღვანელობის ამოცანები სულ უფრო და უფრო პასუხსაგები და რთული ხდება. ეს განსაკუთრებით ითქმის სასოფლო მეურნეობაზე მთელი მისი მრავალფეროვანებით კლასობრივი მტერი ბრძოლის უფრო ბასრ და მოხერხებულ ხერხს მიმართავს. პარტიის შიგნით მისი აგენტურა ახლა მოქმედებს ზურგს უკან „ჩუმად ორმოს ამოთხრით", ყალთაბანდობის მეთოდებით. იგი ყოველგვარ მოტყუებასა და მახინაციას მიმართავს პარტიის ხაზის და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველივე ეს პარტიის თვითეულ წევრისაგან მოითხოვს როგორც თავისი ორგანიზაციის პრინციპების, მისი ტაქტიკის **მტკიცედ ცოდნას**, ისე იმის უნარს, რომ ეს საერთო პრინციპები გამოიყენოს არა შაბლონურად, არამედ თვითეული ორგანიზაციის მუშაობის **კონკრეტულ პირობებთან** შეფარდებით. ამჟამად პარტიის წევრს მოეთხოვება პარტიის მიერ სოციალიზმის გამარჯვებისათვის წარმოებული გმირული ბრძოლის, სიღრმით და შინაარსით განსაცვიფრებელი გამოცდილების და ამ ბრძოლის გაკვეთილების ცოდნა, იმისთვის, რომ თვითონ სწორად აიღოს ხაზი, დაანახოს უპარტიონი, შეძლოს მტრის შენიღბვის და მოქმედების გამოცნობა, დროულად გამოააშკარაოს და ალკვეთოს იგი.

ეს განსაკუთრებით ეხება პარტიის ახალ ას ათასობით წევრებს, რომელნიც მიღებული არიან უკანასკნელ წლებში და, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ პარტიული მუშაობის საკმაო გამოცდილება, ჯერ კიდევ მტკიცედ არ შეუთვისებიათ ბოლშევიზმის ტრადიციები.

ამავე დროს მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს პარტიის წევრებს რევოლუციური თეორიის დაუფლებაში, სათანადო სიმაღლეზე არ დგას: მთელ რიგ ორგანიზაციებში მას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, არ წარმოებს პარტიის ახლადმიღებული წევრების და კანდიდატების მობილიზაცია პარტიის მიერ ბრძოლისა და მშენებლობის დარგში დაგროვილი გამოცდილების შესასწავლად, რის გამოც ისინი თავისი პოლიტიკური დონით ხშირად უპარტიოებისაგან არ განირჩევიან.

წმენდის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ მარქსისტულ - ლენინური სწავლების დაუფლების და გატარების საქმეში მთავარ დეფექტებს წარმოადგენს: უვარგისი ორგანიზაცია პარტიული სკოლების და წრეების დაკომპლექტებისა, რომელიც მთელ რიგ ორგანიზაციებში აქამდის ხორციელდება ბიუროკრატიულად, ცალკე ამხანაგების მომზადების დონის და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად, პროპაგანდისტების უბეირო შერჩევა, პროპაგანდისტთა შემადგენლობის დენადობა და მათთან მუშაობის გაუწევლობა. ამას სხვათაშორის, მოწმობს ის ფაქტიც, რომ არა მარტო უჯრედების მდივნები, არამედ კულტპროპგანყოფილებათა გამგეებიც კი ხშირად არ იცნობენ პროპაგანდისტებს; წრეები და პარტსკოლები ხშირად არ არიან შეგუებული საწარმოებში მუშაობის პირობებთან (ცვლები); ეს იწვევს სკოლების და წრეების შემადგენლობის დენადობას და მათ დაშლას; სრულიად არ არსებობს სათანადო მიდგომა მცირემცოდნეთა აღზრდის საქმისადმი (ძველი ფეიქარი ქალები, სოფლიდან ჩამოსული ახალი მუშები, სოფლელი კომუნისტები) განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის და წესდების საკითხების დამუშავებას ხშირად მეტად მწიგნობრული, სქოლასტიკური ხასიათი აქვს, საერთო პრინციპებს არ ათანხმებენ ბრძოლის და მშენებლობის არსებულ პირობებთან, რის გამოც აღნიშნული პრინციპები ძნელად გასაგები ხდება სკოლების და წრეების მონაწილეთათვის.

წმენდის ხელმძღვანელი ამხანაგები ერთსულოვნად ხაზს უსვამენ კულტპროპგანყოფილებათა გამგეების **ორგანიზატორული** მუშაობის სისუსტეს როგორც სკოლების და წრეების შექმნის საქმეში, ისე პროპაგანდისტებთან მუშაობაში, მათი ორგანიზაციის და ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში. ხშირად შეხვდებით საწარმოს და ორგანიზაციას, სადაც პროპაგანდისტებს არ შეკრებენ ხოლმე. არ აძლევენ ინსტრუქციებს, შეცდომებს არ უსწორებენ. სკოლის და წრეების მეცადინეობის **შემოწმების და კონტროლის** უქონლობა კულტპროპგანყოფილებათა გამგეების მუშაობის მეორე სუსტი მხარეა.

*

ამჟამად მიმდინარეობს მარქსისტულ-ლენინური სწავლების ორგანიზაციის გაშლა შემოდგომა - ზამთრის პერიოდისთვის: წარმოებს სკოლების და წრეების დაკომპლექტება, პროპაგანდისტების შერჩევა.

საჭიროა ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ გაითვალისწინოს წმენდის გამოცდილება ამ მხრივ და იხმაროს ყოველი ღონისძიება, რათა სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს მარქსისტულ-ლენინური მომზადების საქმე.

ყველა ორგანიზაციამ და თვითეულმა კომუნისტმა მტკიცედ უნდა შეითვისოს, რომ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც პარტია ამჟამად წმენდის პროცესში უყენებს თვითეულ კომუნისტს პროგრამის, ორგანიზაციის პრინციპების და პარტიის ტაქტიკის, მისი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების ცოდნის მხრივ, პარტია მომავალშიაც წაუყენებს ყოველ კომუნისტს. ეს მოთხოვნები მთლიანად გამომდინარეობენ ლენინის და სტალინის მითითებებიდან კომუნისტის მოვალეობათა შესახებ, მითითებებიდან რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის შესახებ.

საჭიროა ეს დებულება მტკიცედ შეითვისოს პარტიის თვითეულმა წევრმა, თვითეულმა კანდიდატმა და თანამგრძნობმა.

ამასთანავე, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მეორე გარემოებას: პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა ჩამოაყალიბონ პარტიული სკოლების, წრეების და კურსების ქსელი, გამოყოფილ უნდა იქნან შემოწმებული პროპაგანდისტები მათთვის; ამ სკოლების და წრეების დაკომპლექტება ჩატარებულ უნდა იქნას თვითეული პარტიელის და კანდიდატის დონის და მოთხოვნილებების აღრიცხვის მიხედვით; სკოლების და პარტიელთა მუშაობის მიმდინარეობა შემოწმებულ იქნას და თვითეული ცალკე სკოლის და პროპაგანდისტის მუშაობის შესახებ მოსმენილ იქნას უჯრედის ბიუროს და პარტკომის სხდომებზე **მოხსენებანი.**

ამ საქმის უკეთ დაყენებისათვის არსებობს ყველა პირობა: უკანასკნელ წლებში დიდი ტირაჟით გამოიცა პარტიული სახელმძღვანელოები; მათი გამოცემა წარმოებს ამჟამადაც, მილიონ ეგზემპლიარებით გამოიცა და იცემა მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ცალკე თხზულებანი. პოლიტგანყოფილებების მოწყობა, სამ.-სატრ. სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში და ტრანსპორტზე აუცილებლად წინ წასწევს სოფლად და ტრანსპორტზე კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის დარგში წარმოებულ მუშაობას. ბოლოს, წმენდის დროს გამომჟღავნდა პარტიის წევრების და კანდიდატების დიდი მისწრაფება თავიანთი პოლიტიკური დონის ამაღლებისაკენ.

ეხლა ჯერი მიდგა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის სათანადო ორგანიზაციაზე.

*

პარტიულ წრეების და სკოლების დაკომპლექტება საჭიროა ჩატარდეს იმ ანგარიშით, რომ მეცადინეობა დაიწყოს **ოქტომბერში.** როგორც სკოლების და წრეების ქსელი, ისე მათი პროპაგანდისტები დამტკიცებული უნდა იქნან უჯრედის ბიუროს ან პარტკომის მიერ, მცირე რაიონებში—რაიკომის ბიუროს მიერ.

სამ.-სატრ. სადგურების მოქმედების რაიონებში და ტრანსპორტზე რაიკომები პოლიტგანყოფილებებთან ერთად აყალიბებენ მარქსისტულ-ლენინურ აღზრდის ქსელს და ხელმძღვანელობას უწევენ მას. რაიკომებმა პოლიტგანყოფილებებთან ერთად უნდა შეარჩიონ პროპაგანდისტები, მოამზადონ ისინი მეცადინეობისათვის, პოლიტგანყოფილებათა მუშაკები ჩაბმული უნდა იქნან წრეების და კურსების ქსელის ხელმძღვანელობის საქმეში.

დაკომპლექტების დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მცირემცოდნე პარტიულებთან და კანდიდატებთან მუშაობის განსაკუთრებული ფორმები. საჭიროა აღინიშნული პარტიელების და კანდიდატების გამოყოფა განსაკუთრებულ წრეებსა და სკოლებში, სადაც ისინი პირველყოვლისა გაზეთების და პოპულარული წიგნების კითხვით ემზადებიან წიგნითა და გაზეთზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის და მასთან ერთად იხწავლიან, თუ როგორ უნდა გაერკვნენ პოლიტიკურ ამბებში.

სკოლების ქსელი ძირითადად უცვლელი რჩება. კანდიდატებისა და თანამგრძნობთათვის რჩება **საკანდიდატო სკოლა**, რომელსაც საფუძვლად უდევს ვოლინის და ინგულოვის „პოლიტცოდნა" ქალაქისათვის და კარპინსკის „პოლიტცოდნა"—სოფლისათვის.

სახელმძღვანელოს გავლის დროს საჭიროა წრეში მომეცადინენი კითხულობდნენ პარტიის პროგრამის, წესდების, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სათანადო განყოფილებებს.

კლუბების, თვითმოქმედი წრეების ძალებით საჭიროა შეიქმნას პარტიის, კონსტიტუციის ორგანიზაციის სქემები, მრეწველობის ზრდის, სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის გამარჯვების დიაგრამები.

პარტიის წევრები, რომლებმაც წმენდაზე გამოამჟღავნეს არასაკმაო მომზადება, იმეცადინებენ სკოლებში ვოლინის, ინგულოვის და კარპინსკის სახელმძღვანელოებით.

პარტიის იმ წევრებისათვის, რომელთაც გაიარეს სკოლა პროგრამის და წესდების საფუძვლების შესათვისებლად, იქმნება **ლენინიზმის დაწყებითი სკოლა**, შემცირებული პროგრამით, ამხ. სტალინის „ლენინიზმის საკითხების" ძირითად თავების შესწავლით.

სწავლების უფრო მაღალი ფორმების სახით იქმნება:

ა) წრეები პარტიის ისტორიის შესასწავლად პოპოვის, კნორინის ან იაროსლავსკის სახელმძღვანელოების საფუძველზე;

ბ) ლენინიზმის წრეები სტალინის „ლენინიზმის საკითხების" სრული მოცულობით და ბისტრიანსკის რედაქციით გამოცემული „ლენინიზმის სახელმძღვანელო წიგნის" საფუძველზე;

გ) პოლიტეკონომიის წრეები (სეგალის და ლეონტიევის სახელმძღვანელოები).

დ) ისტორიული მატერიალიზმის წრეები (სახელმძღვანელო მიტინის და რაზუმოვსკის რედაქციით).

ბოლოს, სასურველია აქტივისათვის შემოღებული იქნას პრაქტიკაში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ცალკე თხზულებათა შესასწავლი წრეები (როგორც, მაგალითად, კ. მარქსის „გოთას პროგრამის კრიტიკისათვის", „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", „სამოქალაქო ომი საფრანგეთში"; ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია", ამხ. სტალინის ნაშრომები).

აუცილებელია რაიკომებთან სისტემატიურად ეწყობოდეს სოფლის რაიონული აქტივის 5-10 დღიანი კურს-სემინარები პარტიის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, მისი პროგრამის, ორგანიზაციის, სტრატეგიის და ტაქტიკის პრინციპების დასამუშავებლად.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ კურსებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ამასთან ერთად უნდა გამოვიყენოთ მოსკოვის და ლენინგრადის ორგანიზაციების გამოცდილება პარტიის პროგრამის, წესდების და ტაქტიკის საკითხებზე პარტიის წევრებისა და კანდიდატებისათვის **ლექციების** ჩატარების დარგში, ლექციების მასალის შემდგომი დამუშავებით წრეებსა და სკოლებში. უნდა მოეწყოს ლექტორების გასვლა საოლქო ცენტრებიდან რაიონებში, აგრეთვე პოლიტგანყოფილებათა მუშაკების ჩაბმა ლექციების კითხვის საქმეში.

*

პარტიული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება დაკომპლექტების ჩატარების შემდეგ უნდა მიექცეს სკოლებისა და წრეების მუშაობაში **სიმყარის და წესრიგის** უზრუნველყოფას.

კულტპროპგანყოფილებებმა უნდა უზრუნველყონ თვითეული სკოლის პროგრამის მთლიანად გავლა და მოაწყონ სკოლის თვითეული მონაწილის ცოდნის შემოწმება მეცადინეობის როგორც შუაგულში, ისე დამლევს. თვით მეცადინეობა ისე უნდა იყოს ნავარაუდევი, რომ გაზაფხულზე — აპრილი, მაისი — მოეწყოს მეცადინეობის ორგანიზებული დამთავრება, სკოლებისა და წრეების მსმენელთა ცოდნის შემოწმება. უნდა შემოვიღოთ პრაქტიკაში მოწმობების გაცემა იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც სათანადო სკოლას წარმატებით გაივლიან. უნდა ვიზრუნოთ პარტიის იმ წევრების, იმ სკოლების და პროპაგანდისტების პარტიულ-საზოგადოებრივი **წახალისების** ზომებისთვისაც, რომელნიც სერიოზულად და წარმატებით გადიან პროგრამას, რომელნიც ამაგრებენ სასწავლო დისციპლინას: აუცილებელია პარტიის ასეთი წევრები და კანდიდატები, ასეთი პროპაგანდისტები, ასეთი სკოლები აღინიშნონ პარტიულ კრებებზე, გაზეთებში, აუცილებელია ისინი დაჯილდოებულ იქნან მათთვის საჭირო ლიტერატურით.

სკოლების და წრეების მუშაობაში სიმყარის მისაღწევად აუცილებელია თვითეული მსმენელის უზრუნველყოფა სათანადო სახელმძღვანელოთი. ეს სახელმძღვანელოები (პოლიტანბანი, სტალინის „ლენინიზმის საკითხები", პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოები და სხ.) გასულ წელს ასეული ათასი ტირაჟით გამოიცა და გამოდის მიმდინარე წლის სექტემბერში. არის სრული შესაძლებლობა, რომ სკოლის თვითეული მონაწილე უზრუნველყოთ სახელმძღვანელოთი. ამისთვის უნდა იზრუნონ კულტპროპგანყოფილებებმა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **პროპაგანდისტებთან მუშაობას.** პროპაგანდისტები ძირითადი რგოლია მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის მართებულად დაყენებისათვის. მათ შერჩევას და მუშაობას პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. მართებულად იქცევიან ის რაიკომები, რომლებმაც უკვე ახლა შექმნეს სპეციალური კომისიები პროპაგანდისტების შესარჩევად და გასანაწილებლად. აუცილებელია მოეწყოს მუშაობის მსვლელობაშივე დახმარების სისტემატიურად გაწევა პროპაგანდისტებისათვის. ამისათვის კი კულტპროპგანყოფილებებმა უნდა მოაგვარონ უწინარეს ყოვლისა დროული ინფორმაცია თვითეულ პარტსკოლაში თვითეული მეცადინეობის მსვლელობის შესახებ, რათა თავის დროზე გაუწიონ დახმარება პროპაგანდისტს ან გამოასწორონ მისი შეცდომები. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტრუქტორების შერჩევას, რომელნიც სისტემატიურად უნდა ესწრებოდნენ პარტიული სკოლების მეცადინეობას და პროპაგანდისტების სემინარებზე უნდა უზიარებდნენ საუკეთესო, უფრო წარმატებით მომუშავე სკოლების გამოცდილებას.

გასულ წელს ბევრი პარტიული სკოლა ფაქტიურად გადაიქცა მიმდინარე პოლიტიკის წრეებად. მეცადინეობა გამოიხატებოდა ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის ან გაზეთებში ამოკითხული პარტიული გადაწყვეტილების განხილვაში. მაგრამ ეს მეთოდი ვერ უზრუნველყოფს პარტიის პროგრამის, ორგანიზაციის და ტაქტიკის პრინციპების ჯეროვან შეთვისებას.

უნდა გამოვიყენოთ სხვა, უფრო ძნელი, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანი მეთოდი —დავუკავშიროთ პარტიის პოლიტიკის და ორგანიზაციის შესასწავლი საფუძვლები დღევანდელ დღეს, თვითეულ ორგანიზაციაში ბრძოლის და მშენებლობის ვითარების ამოცანებს. ამ მხრით უმდიდრესი მასალა მოიპოვება. განა, მაგალითად, წმენდა არ იძლევა იმის უამრავ დამადასტურებელ საბუთს, თუ როგორ ცხოველმყოფელია ახლაც პარტიისათვის მისი წესდების პირველი პარაგრაფი სწორედ იმ აზრით და მნიშვნელობით, როგორც ლენინმა იგი ჯერ კიდევ 1902 წელს ჩამოაყალიბა, და განა წესდების ამ პარაგრაფის უდიდესი მნიშვნელობის მაგალითებით არ შეიძლება ახალგაზრდა პარტიელებისათვის ახლობელი და გასაგები გავხადოთ მენშევიკების წინააღმდეგ მეორე ყრილობაზე ლენინის ბრძოლის ისტორიული აზრი? ან, მაგალითად, ამხ. სტალინის სიტყვა 6 პირობის შესახებ, რომელიც მუშაობის ორგანიზაციის პრაქტიკული, კონკრეტული პროგრამაა, განა ამასთან ერთად არ წარმოადგენს უდიდეს სიმაღლის თეორიულ განზოგადებას, ახლანდელ პერიოდში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგადებას, რომელიც მთლიანად გამომდინარეობს ლენინიზმის ძირითადი პრინციპებიდან? ყოველივე ამის განმარტება შეიძლება ცოცხალი მაგალითით.

პარტიული სწავლების კიდევ უფრო შინაარსიანად და საინტერესოდ გადაქცევა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პროპაგანდისტების მიდგომასა და უნარზე. და კულტპროპგანყოფილებებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ დაეხმარონ პროპაგანდისტს განახორციელოს ეს გადამწყვეტი დებულება პარტიულ სწავლებაში: მან არ უნდა დაახშოს იგი მწიგნობრობითა და სქოლასტიკით, უნდა განახორციელოს რევოლუციური თეორიის კავშირი კომუნიზმისაკენ წინსვლის ყველა მრავალრიცხოვან უბანზე პარტიის გმირული ბრძოლის და მშენებლობის მრავალფეროვან პრაქტიკასთან.

ლეიპციგის პროცესი რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმეზე

ჰოლანდიელ ვექილს ნება არ დართეს ენახულა ვან-დერ-ლუბე

ამსტერდამი, 22 სექტემბერი. ლეიპციგიდან მიღებული ცნობით, სასამართლო ხელისუფლებამ ჰოლანდიელ ვექილს სტომპსს ნება არ დართო ენახულა ვან-დერ-ლუბე. სტომპსის საუბარიდან სასამართლოს წარმომადგენელ ბიუნგერთან ჩანს, რომ ვან-დერ-ლუბესთვის არ გადაუციათ მისი ოჯახის მიერ გაგზავნილი წერილი, რომელშიაც მას ატყობინებდენ, რომ სტომპსი გამოდის მის დამცველად. როგორც ირკვევა, ხელისუფლებამ ვან-დერ-ლუბეს მხოლოდ წერილის შინაარსი აცნობა. გაზეთებს საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ვან-დერ-ლუბემ იცოდეს ჰოლანდიის მხრით მისთვის დამცველის დანიშვნის შესახებ (ადს).

ვან-დერ-ლუბეს დაკითხვა

ბერლინი, 22 სექტემბერი. „ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტაგი" იუწყება, რომ 21 სექტემბრის დილის სხდომაზე დაიწყო ვან-დერ-ლუბეს დაკითხვა. მან მოკლედ მოუთხრო სასამართლოს თავისი ბიოგრაფია, რომელშიაც, გაზეთის ანგარიშის მიხედვით, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ვან-დერ-ლუბეს კომპარტიაში ყოფნის შესახებ. ვან-დერ-ლუბეს დაკითხვის დროს თავმჯდომარე ყოველნაირად ცდილობდა მის დაკავშირებას კომპარტიასთან ან ვან-დერ-ლუბეს „კომუნისტური იდეოლოგიის" ცხადყოფას. ვან-დერ-ლუბე არაერთხელ იყო მიცემული სამართალში, უმთავრესად, „მაწანწალობისათვის". უკანასკნელად ეს მოხდა გერმანიაში. შოვერინგენში (ჰოლანდია) იგი ერთხელ პასუხისგებაში მისცეს იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გაუწია ხელისუფლებას. ამ შემთხვევის შესახებ თავმჯდომარე აძლევს კითხვას: „ვინ მოაწყო მაშინ დემონსტრაცია—კომუნისტებმა?" ვან-დერ-ლუბე უპასუხებს, რომ იგი მარტოდ იყო და მხოლოდ თავმჯდომარის განმეორებითი შეკითხვაზე აძლევს პასუხს, რომ მასთან კიდევ რამდენიმე კაცი იყო. თავმჯდომარე მკითხება—კომუნისტურ დემონსტრაციებში ხომ არ იღებდა მონაწილეობას ვან-დერ-ლუბე? გაზეთის სიტყვით, ვან-დერ-ლუბეს ამ განმეორებითი კითხვაზე გარკვეული პასუხი არ მიუცია. გაზეთის მიერ დაკითხვის „ობიექტიურად" გაშუქების მეთოდებისათვის დამახასიათებელია, რომ პასუხში არ არის ნათქვამი სახელდობრ რა ახსნა-განმარტება მისცა სასამართლოს ვან-დერ-ლუბემ. რამდენადაც გაზეთს არ შეუძლია სთქვას, რომ ვან-დერ-ლუბემ თავმჯდომარის კითხვაზე უპასუხა დადებითად, როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ მან უპასუხა უარყოფითად.

შემდეგ თავმჯდომარე იმავე მიმართულებით აძლევს კითხვას: „თქვენი მოქმედება მოწმობს, რომ თქვენ მტრულად უყურებდით სახელმწიფო წყობილებას. იჩენდით თუ არა თქვენ ასეთ მტრულ დამოკიდებულებას?" გაზეთის სიტყვით, ვან-დერ-ლუბემ თითქოს არ უპასუხა ამ კითხვაზე.

შემდეგ დაიწყო შეკითხვები რომელიღაც წერილის შესახებ, რომელიც ვან-დერ-ლუბემ ვითომდა მიიღო ვიღაც „ამხანაგებისაგან". წერილში თითქოს ნათქვამია: „ჩვენ ყველანი შენთან ვართ ბონზების წინააღმდეგ". თავმჯდომარის კითხვაზე — რა ამხანაგებია ეს და რომელ „ბონზებზეა" აქ ლაპარაკი, ვან-დერ-ლუბემ, გაზეთის სიტყვით, „გაუგებარი ახსნა-განმარტება" მისცა. საერთოდ აღსანიშნავია, რომ გაზეთის ანგარიშის მიხედვით ვან-დერ-ლუბეს ჩვენებაში განსაზღვრული ადგილები „გაუგებარი" და „არადამაჯერებელია". ეს არ უშლის გაზეთს თავის მხრივ განაცხადოს, რომ „საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ კომუნისტურ ორგანიზაციას".

იმავე ანგარიშის მიხედვით, ჰოლანდიელი თარჯიმანი კითხულობს ვან-დერ-ლუბეს დახასიათებას ჰოლანდიის პოლიციის მიერ. გაზეთის სიტყვით, დახასიათებაში ნათქვამია, რომ ვან-დერ-ლუბე „ნამდვილად იყო კომპარტიის წევრი" და რომ „მან მუშაობა დაიწყო 1929 წელს კომკავშირში".

სასამართლოს ანგარიში „ნახტაუსგაბე" მაინც იუწყება, რომ, პოლიციის დახასიათების მიხედვით, ვან-დერ-ლუბე 1931 წელს გამოვიდა კომპარტიიდან და დასტოვა ჰოლანდია, ხოლო დაბრუნების შემდეგ მიემხრო რაღაც ორგანიზაციას, რომელსაც ანგარიში უწოდებს „ინტერნაციონალისტ კომუნისტების ორგანიზაციას". ამავე დროს გაზეთ „აბენდბლატ"-ის ანგარიში პირდაპირ ამბობს, რომ თავმჯდომარის კითხვაზე: „მაგრამ არსებითად თქვენ კომუნისტი ხართ" — ვან-დერ-ლუბემ გარკვევით უპასუხა: „არა". არსებული ცნობების თანახმად, ჰოლანდიის პოლიციის დახასიათებაში გარკვეულად ნათქვამია, რომ ვან-დერ-ლუბე აქტიურად იბრძოდა კომპარტიის და კომკავშირის წინააღმდეგ.

ვან-დერ-ლუბეს შემდგომი დაკითხვის დროს მისი უცხოეთში მოგზაურობის შესახებ სრული მარცხით დამთავრდა ცდა — გამოეყენებიათ ვან-დერ-ლუბე ახალი ანტისაბჭოთა კამპანიისათვის. როგორც ვიცით, თავის დროზე მთელი გერმანიის პრესა ამტკიცებდა, რომ ვან-დერ-ლუბე იყო საბჭოთა კავშირში და რომ, თითქოს, სწავლობდა კიდეც იქ რაღაც „კომუნისტურ კურსებზე". „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" და მთელი რიგი სხვა გაზეთები უკვე პროცესის პირველ დღეს იძულებული არიან აღიარონ, რომ ვან-დერ-ლუბემ ვერ მიიღო საბჭოთა კავშირში შესვლის ნებართვა.



პროვოკატორი ვან-დერ-ლუბე, რომელმაც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დავალებით დასწვა რეიხსტაგის შენობა

შემდეგ სასამართლო ჩერდება კითხვაზე: იყო თუ არა ვან-დერ-ლუბე 1932 წელს საქსონიაში მოგზაურობის დროს ნაციონალ-სოციალისტებთან. როგორც ვიცით, მალე ვან-დერ-ლუბეს დაპატიმრების შემდეგ საქსონიის სოციალ-დემოკრატებმა გამოარკვიეს, რომ ვან-დერ-ლუბე ორი დღე იყო დაბა ბროკვიცში იქაური ნაციონალ-სოციალისტების ზომერის და შუმანის კმაყოფაზე. საგაზეთო ანგარიშების მიხედვით, ვან-დერ-ლუბეს და რამდენიმე მოწმის დაკითხვით ეს ფაქტი, თითქოს, უარყოფილ იქნა. გაზეთების სიტყვით, ვან-დერ-ლუბემ თავმჯდომარის კითხვაზე უპასუხა, რომ იგი არ არის ნაციონალ-სოციალისტი.

ბროკვიცის ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნაციონალ-სოციალისტი ზომერი, რასაკვირველია, უარყოფს, რომ ვან-დერ-ლუბე არის ის კაცი, რომელიც 1932 წელს მივიდა მასთან და განუცხადა, რომ იგი არის ნაციონალ-სოციალისტი, რის შემდეგ ზომერმა იგი უზრუნველყო ღამის გასათევით და საჭმელით. ამავე დროს, მეორე მოწმე, ბროკვიცის ბურგომისტრი კილი, ზომერის ჩვენების წინააღმდეგ, აცხადებს, რომ ზომერთან საუბარმა ამ საკითხზე მარტში დაარწმუნა იგი, რომ კაცი, რომელსაც 1932 წელს ზომერმა მოუწყო ბინა და საკვები, იყო სწორედ ვან-დერ-ლუბე (ადს).

ლეიპციგის პროცესი „სასამართლო კომედია"

ვარშავა, 22 სექტემბერი. პოლონეთის მთელი პრესა ლეიპციგის პროცესს ახასიათებს როგორც სასამართლო კომედიას.

ლონდონი, 22 სექტემბერი. „ნიუს ქრონიკლს" ლეიპციგელი სპეცკორი ემინგო იუწყება, რომ თვით ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის ბევრი მომხრეც კი კერძო საუბარში გმობს მთავრობას პროცესის მოწყობისათვის (ადს).

უცხოეთის პრესა ლონდონის კონტრპროცესის შესახებ

მოსკოვი, 22 სექტემბერი. რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების საქმის გამრჩევ ლონდონის საზოგადოებრივ სასამართლოს დასკვნებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. ისინი გამოქვეყნდა ყველა გაზეთში. „დეილი ტელეგრაფი" ბეჭდავს მათ სათაურით: „ნაციონალ-სოციალისტებმა ცეცხლი წაუკიდეს რეიხსტაგს". „მანჩესტერ გარდიანი" აღნიშნავს, რომ ლეიპციგის სასამართლოს არ შეუძლია მოისმინოს დაცვის დამოუკიდებელი მოწმეების ჩვენება, ვინაიდან თუ ისინი გამოჩნდენ გერმანიაში, მათ სიცოცხლეს საფრთხე მოელის.

ჩეხო-სლოვაკიის გაზეთები ლონდონის კონტრ-პროცესის შესახებ ათავსებენ წერილებს შემდეგი სათაურით: „ტორგლერი და ბულგარელი კომუნისტები უდანაშაულო არიან". ჩეხიის სოციალისტების (საგარეო საქმეთა მინისტრის ბენეშის პარტია) ორგანო „ჩესკე სლოვო" წერს: „მთელი საზოგადოებრივი აზრი უკვე დიდი ხანია დარწმუნებულია ბრალდებულთა უდანაშაულობაში, აგრეთვე ფაშისტების მიერ ხანძრის ინსცენირებაში იმ მიზნით, რომ ბრალი დასდონ კომუნისტებს გადატრიალების მომზადებაში."

საფრანგეთის გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ ამხ. ტორგლერის, დიმიტროვის, პოპოვის და ტანევისათვის წაყენებულ ბრალდებას აბსოლუტურ სიყალბეს, აგრეთვე იმ ბრალდების პროვოკაციულ ხასიათს, რომლის მიზანია დამალოს რეიხსტაგისათვის ცეცხლის ნამდვილი წამკიდებლები და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური დიქტატურის ბოროტმოქმედება.

ჰავასის სააგენტო, რომელიც თავის ცნობებს ჩვეულებრივ არ უკეთებს კომენტარიებს, გამოდის ვრცელი კომენტარიებით, რომლებიც სასტიკად აკრიტიკებენ ნაციონალ-სოციალისტური ხელისუფლების მოქმედებას. მას საეჭვოდ მიაჩნია, რომ გერმანიის ახლანდელი, რეჟიმი, „რომლის მტრებსაც მასობრივად ათავსებენ საკონცენტრაციო ბანაკებში". ნებას დართავს გამოაშკარავებულ იქნან პროცესის დროს რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების ნამდვილი დამნაშავეები. ცეცხლის წაკიდების შესახებ კვლევა-ძიების ხანგრძლივი ხასიათის საილუსტრაციოდ გაზეთი წერს, რომ ხანძრის მეორე დღესვე აღუთქვეს საქმის მალე გარჩევა, ხოლო პროცესი კი იწყება ხანძრიდან ექვსი თვის შემდეგ, დაგვპირდენ საჯარო კვლევა-ძიებას, ხოლო იგი სწარმოებდა უაღრესი საიდუმლობით.

შვეციის გაზეთები, ლეიპციგის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, აღნიშნავენ, რომ ნაციონალ-სოციალისტები ვერ გაინთავისუფლებენ თავს ეჭვისაგან, რომ სწორედ ისინი არიან ცეცხლისწამკიდებლები. გაზეთების უმრავლესობა ლეიპციგის პროცესს უწოდებს ინსცენირებას. შვეციის ოფიციალური სააგენტოც კი ლეიპციგის პროცესს ადარებს დრეიფუსის პროცესს, საკოს და ვანცეტის გასამართლებას და ნერონის მიერ რომისათვის ცეცხლის წაკიდებას. აღნიშნავენ რა, რომ ბრალდებულთა სკამზე, როგორც ბრალდებული, ზის გერინგი, გაზეთები მიუთითებენ, რომ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები ვერ გადაურჩებიან „ცეცხლისწამკიდებლების" ეპიტეტს, რომლითაც ისინი შევლენ ისტორიაში (ადს).

საფრანგეთის პროლეტარიატის დემონსტრაცია ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად

პარიზი, 22 სექტემბერი. „ლიუმანიტეს" ცნობით, პარიზში შესდგა 6 ათასიანი ანტიფაშისტური მიტინგი, რომელიც მოაწყო კომპარტიამ, რევოლუციურმა შრომის კონფედერაციამ და რემედსმა. მიტინგზე გამოვიდენ ამხ. სემარი, პერი, ბულგარელი ორატორი და ამხ. კაშენი, ერთხმად მიღებული რეზოლუცია, რომელიც იწონებს ლონდონის კონტრპროცესის დასკვნებს, მოითხოვს ამხ. ტორგლერის, დიმიტროვის, პოპოვის და ტანევის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და გამოხატავს ფაშიზმთან გადამჭრელი ბრძოლისათვის მზადყოფნას. გადაწყდა რეზოლუციის ტექსტი გაუგზავნონ ლეიპციგის სასამართლოს და გერმანიის ელჩს პარიზში (ადს).

ინგლის-იაპონიის კიშპობა ინდოეთში

ლონდონი, 22 სექტ. ბრიტანეთის ინდოეთის და იაპონიის საფეიქრო მწარმოებელთა მზადება სიმლის კონფერენციისათვის მიმდინარეობს უმწვავეს ურთიერთ თავდასხმების ატმოსფეროში. „დეილი ექსპრესი" აქვეყნებს ამონაწერს დოკუმენტიდან, რომელიც გამომდინარეობს იაპონიის სავაჭრო წრეებიდან. ამონაწერში ნათქვამია, რომ იაპონიის ერთ-ერთი უმაღლეს ამოცანას წარმოადგენს იმ 300 მილიონი ინდოელის განთავისუფლება, რომლებიც გმინავენ ბრიტანეთის უღლის ქვეშ. „სამართლიანობისათვის,—ნათქვამია დოკუმენტში,— ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ მოიპოვონ დამოუკიდებლობა", გაზეთი თავს ესხმის დოკუმენტის ავტორებს და აღნიშნავს, რომ იაპონიის სავაჭრო ომი ისახავს გაცილებით უფრო ფართო მიზნებს, ვიდრე ექსპორტის გადიდება (ადს).

თურქეთ-ბულგარეთის მეგობრობა

ვენა, 22 სექტემბერი. თურქეთის პრემიერ ისმეტი და საგარეო საქმეთა მინისტრი ტევფიკ რუშტიუ ჩავიდენ სოფიაში. ბულგარეთის პოლიტიკურ წრეებში მათ ჩასვლას დიდ მნიშვნელობას აძლევენ და მოელიან, რომ სტუმრები შეეცდებიან გაფანტონ ბულგარეთის მთავრობის შიში იმის შესახებ, რომ ამ დღეებში დადებული საბერძნეთ-თურქეთის პაქტი გააძლიერებს ბულგარეთის საგარეო-პოლიტიკურ იზოლაციას (ადს).

გადადგა ეგვიპტის მთავრობა

ლონდონი, 22 სექტემბერი. ქაირიდან მიღებული ცნობით, გადადგა ეგვიპტის პრემიერი სიდკი-ფაშა. არსებული ცნობებით, ახალი კაბინეტი შედგენილი იქნება დაახლოებით წინანდელი შემადგენლობით. პრემიერის პოსტზე დაინიშნება იტტიხადის პარტიის წევრი (იტტიხადი ანგლოფილური პარტიაა, რომელიც გამოხატავს მსხვილი მემამულეების და სამეფო კართან დაახლოებული დიდებულების ინტერესებს). სიდკი-ფაშა, რომლის მთავრობა შედგენილი იქნა 1930 წელს, მეფე ფუადის და ინგლისის ხელისუფლების ერთგული იარაღი იყო (ადს).

მარგანეცი

ჭიათურა, 23 სექტემბერი. 21 სექტემბერს ჭიათურის მაღაროებში უნდა ამოეღოთ 3.789 ტონა მარგანეცი; ფაქტიურად ამოიღეს 3.523 ტონა, გეგმის 92,9 პროც.

უნდა გაერეცხათ 1.990 ტონა, გაირეცხა 1779 ტონა, რაც უდრის გეგმის 89,3 პროცენტს.

მოზრდილთათვის კურსების (ათწლედების) ორგანიზაციის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და მუშგლეხინის კოლეგიის 1933 წლის 23 სექტემბრის დადგენილება

1. მოწონებულ იქნას საქართველოს განსახკომის დადგენილება მოზრდილთათვის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სამი ათწლედის ორგანიზაციის შესახებ განსახკომის ხელმძღვანელობით.
2. მიღებულ იქნას ცნობად განსახკომის წარმომადგენლის ამხ. ბერიძის განცხადება იმის შესახებ, რომ განსახკომის მიერ გამოყოფილი მსმენელთა შემრჩევი კომისია ამ ათწლედთა დებულების საფუძველზე მუშაობას დაამთავრებს 27 სექტემბერს, რის შემდეგ დაიწყება მისაღები გამოცდები იმ ანგარიშით, რომ მეცადინეობა დაიწყოს ამა წლის 1 ოქტომბერს.
3. წინადადება მიეცეს ცალკე პირებს და ორგანიზაციებს, რომელნიც აქამდის ღებულობდენ განცხადებებს ათწლედებში ჩარიცხვის შესახებ, ორი დღის ვადაში გადასცენ ყველა საქმე განსახკომის მიერ გამოყოფილ ცენტრალურ მიმღებ კომისიას.
4. დაევალოს განსახკომის კადრების სექტორს ალკ კავშირის ც. კ-ის კადრების განყოფილებასთან ერთად დააკომპლექტოს ათწლედები ადმინისტრატიულ-პედაგოგიური პერსონალით ძირითადათ ყოფილ კურსების პედაგოგების და ხელმძღვანელების შემადგენლობიდან.
5. ათწლედების გამგეებად წამოყენებულ იქნან კომუნისტი პედაგოგები, რომელნიც არ არიან ზედმეტად დატვირთულნი სხვა დაწესებულებებში მუშაობით.
6. საქ. განსახკომმა 15 ოქტომბრამდე ჩაატაროს ამ ათწლედების დირექტორების და სასწავლო ნაწილის გამგეების საინსტრუქციო თათბირი გეგმიანი მეთოდური ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობის მოწყობის მიზნით.
7. საქ. მუშგლეხინის ფინჯგუფმა სისტემატიურად შეამოწმოს მოზრდილთა ათწლედებში ფინანსიურ-სამეურნეო მუშაობის მართებულად დაყენება.

ქართული შრიფტის რეფორმის ირგვლივ

საქართველოს ცაკმა და სახკომსაბჭომ აუცილებელ საჭიროდ სცნო ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის ჩატარება, რომლის შედეგად მიღწეულ უნდა იქნას მისი ყოველმხრივი გაუმჯობესება—სილამაზე, სისადავე და ეკონომიურობა, აგრეთვე ის უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე სასტამბო ტექნიკას.

ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის სისტემატიური ხელმძღვანელობისათვის საქართველოს ცაკთან შექმნილია კომიტეტი, რომელშიაც შედიან: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), ე. ბედია (თავმჯდომარის მოადგილე), აკადემიკოსი ნ. მარი, კ. ორაგველიძე, მ. ტორომელიძე, ლ. აღნიაშვილი, ნ. კეკნაძე, პაატაშვილი, ბ. ბიბინეიშვილი, მ. გოგუაძე, დ. შავარდნაძე, შარლემანი, დ. კაკაბაძე, ა. შანიძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. ჩიქობავა, და ჰკუსელი.

ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის ჩამტარებელ კომიტეტს წინადადება მიეცა შეაგროვოს და შეისწავლოს დღემდე არსებული ყველა მასალები და სასწრაფო წესით დაიწყოს ქართული შრიფტის ნიმუშების და საბეჭდი ფორმების დამზადება და შემოწმება.

ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის სამეცნიერო ხელმძღვანელობისათვის პედაგოგიკის და პედოლოგიის სამეცნიერო-საცდელ ინსტიტუტთან უნდა შეიქმნას საცდელ-საჩვენებელი ლაბორატორია.

ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის დაფინანსება დავალებული აქვს განათლების კომისარიატს, სახელგამს, პოლიგრაფტრესტს, „გაზ. „კომუნისტი"-ს და „ტექნიკა და შრომა"-ს გამომცემლობებს.

რედაქციისაგან

„კომუნისტი"-ს 10 სექტემბრის ნომერში მოთავსებული შენიშვნა სათაურით: „შარშან 17, წელს 100" სტალინისის რაიონის სოფელ ოსიაურის კოლმეურნეობაზე და კორესპონდენცია ხიდისთავის სასოფლო საბჭოს მუშაობის შესახებ, ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში სათაურით: „იქ, სადაც ჭარხალი არ დაამუშავეს", როგორც გამოირკვა, არ შეეფერება სინამდვილეს.

რედაქციისათვის არა სწორი ცნობების მიწოდებისა და თავისი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის სამუშაოდან მოხსნილია სასოფლო სამეურნეო სექტორის თანამშრომელი, ზემოხსენებული შენიშვნების ავტორი **შ. რობაქიძე**.

დაიწყო სახელმწიფო ფასების დაცვის [illegible]

საქ. მუშგლეხინი, პროფორგანიზაციებმა და პრესასთან ერთად შეუდგა სახელმწიფო კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სავაჭროების გამოკვლევას. გამოკვლევის მიზანია შეამოწმოს სახელმწიფო ფასების დაცვის მდგომარეობა და გამოამჟღავნოს ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამრღვევნი. გამომრკვევი ბრიგადების მასალების საფუძველზე შემუშავდება ღონისძიებანი სავაჭრო ორგანიზაციებში ფასების საბჭოთა პოლიტიკის სწორად გატარების უზრუნველსაყოფად.

გამოკვლევაში მონაწილეობს მუშგლეხინის და პრესის 250 აქტივისტი.

ქრონიკა

ამხ. ელბაქიძის ძეგლი

მიმდინარე წლის ბოლოს ელბაქიძის დაღმართზე გაშენებულ ბაღში ტფილისის აღმასკომი სდგამს ამხ. ელბაქიძის ძეგლს მოქანდაკე კანდელაკის პროექტის მიხედვით. მოქანდაკე უკვე შეუდგა ძეგლის გაფორმებას ქვისაგან. ძეგლის პროექტი დაჯილდოებულია კონკურსზე.

ბავშვთა საერთაშორისო კვირა

2-დან 9 ოქტომბრამდე საქართველოში ტარდება ბავშვთა მე-13 საერთაშორისო კვირა. ბავშვთა საერთაშორისო კვირა ჩატარებული იქნება ბავშვთა შორის ინტერნაციონალური სოლიდარობის გაძლიერების, საზღვარგარეთის პიონერ ორგანიზაციებთან ძმური კავშირის განმტკიცების, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, დისციპლინის განმტკიცების და ნაციონალური რესპუბლიკების პიონერ ორგანიზაციებს შორის მუშაობის გამოცდილების გაზიარების ნიშნით.

ბავშვთა საერთაშორისო დღის ჩატარებისას შემოწმებული იქნება აგრეთვე რაზმების მუშაობა ბავშვთა ორგანიზაციების შორის.

სამეცნიერო საბჭოს პლენუმი

სკოლის შესახებ საქ. ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების წლისთავის აღსანიშნავად, სახ. სამეცნიერო საბჭოს პლენუმის სხდომა, უმაღლეს სასწავლებლების მუშაკებთან ერთად, შესდგება 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის დარბაზში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცკას კულტპროპგანყოფილება 25 სექტემბერს საღამოს 8 საათზე კულტპროპგანყოფილებაში (ოთახი № 5) იწვევს თათბირს დაუსწრებელი ზოოტექნიკურ-ვეტერინალური ინსტიტუტის მუშაობის საკითხზე. თათბირზე მოწვეულნი არიან საქ. მიწსახკომის, კომკავშირის ცკას, საბჭოთა მეურნეობების ტრესტის, საქ. ერბოკარაქტრესტის, საქ. ერბოკარაქმრეწვის, საქ. მეღორეობის ტრესტის, საქ. მიწსახკომის მეცხენეობის სამმართველოს, პოლიტსამმართველოს სამეურნეო განყოფილების, საქკოოპმეურნეობის, ცეკავშირის, მონკავშირის, ამიერ-კავკ. ცხოველთმზადების, საქცხოველთმზადების, ტფ. მაცივრის, აბრეშუმის ტრესტის, მეთევზეობის კავშირის, ტრაქტორცენტრის, საქ. საკონსერვო ტრესტის, საქხილბოსტნის, მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების სექციის კადრების განყოფილებათა გამგეები.

—:—

25 სექტემბერს დღის 2 საათზე, ტფ. კომიტეტის მდივნის ამხ. წითლიძის კაბინეტში შესდგება თათბირი პასპორტიზაციის მიმდინარეობის საკითხზე. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ტფილისის პარტრაიკომების მდივნები ამხ. არუთინოვი, გობეჩია, დოლიძე ტრდატიანი და შელია. რაისაბჭოების თავმჯდომარეები: ამხ. გერმანოზიშვილი, ენუქიძე, სულავა, გულბანი და თოდაძე. „ზარია ვოსტოკას", „კომუნისტი"-ს, „ტიფლისკი რაბოჩი"-ს და „მოლოდოი რაბოჩის" წარმომადგენლები—ამხ. რაბმანი, კიკნაძე, ლეონტიევი, რესპ. მილიციის სამმართვ. უფროსი ამხ. წერეთელი, ქ. ტფილ. რაიონული მილიციების უფროსები, საქ. პროფსაბჭოდან ამხ. ნიორაძე, კომკავშირის ტფ. კომიტეტიდან ამხ. რუხაძე, საქბინათკავშირიდან ამხ. გამსახურდია, კომკავშირის ტფილისის რაიკომების მდივნები.

—:—

25 სექტემბერს დღის 12 საათზე, ტფ. კომიტეტის პარტკაბინეტში (ძნელაძის ქ. № 30) შესდგება თათბირი პარტგანათლების ქსელის უზრუნველყოფის შესახებ სასწავლო პროგრამით და მასალებით. თათბირზე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: მელაძე (ლენრაიკომის პარტკაბინეტის გამგე), თოფურია (სტალინისის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე), სარქისიანი (ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე), სარემონტო ქარხნის და დეპოს პარტკაბინეტების გამგეები.

—:—

25 სექტემბერს, დღის 1 ნახევარ საათზე ტფ. კომიტეტის კულტპროპში ამხ. დემეტრაძესთან შესდგება რაიონული პარტკოლექტივების მუდმივი ხელმძღვანელების თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ლენრაიკომიდან—ა. მელაძე, ერქომაიშვილი (საქ. უმ. კომ. სას.-სამ. სკოლა), კვიციარიძე (სახუნტი), ზრეგვაძე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ.), შალვა სიხარულიძე, ჰკუსელი (განსახკომი), გეგენავა (ამიერ-კავკ. საგეგმო კომისია), ქ. მახარაძე (სტალინის ინსტ.), სტალინის რაიკომიდან—რ. მელაძე (უკა), ჯანელიძე (სახუნტი), ფაზულია („კოლექტივიზაცია"), დ. გეზაავა („კომუნისტი"), სიხარულიძე („მუშა"), დ. დემეტრაძე (მწერალთა კავშირი), „26"-ის რაიკომიდან—ა. შავერდოვა, შახსუვაროვი (ამიერ-კავკ. საქ. კომისია), კულიჯანოვა (უკა), გაჯაევა (ამიერ-კავკ. კომ. სას.-სამ. სკოლა), ახმეტოვა (ამიერ-კავკ. კომ. სკოლა), შმერლინგი (ამიერ-კავკ. პოლიტსამმართველო), ნ. მექვაბიშვილი. ორჯონიკიძის რაიკომიდან — მარიამიანი (ცეკა), ლიტვინოვა, ეფიმოვა (ამიერ-კავკ. სამხ. კომიტეტი), ბუტირინი, გაბისონია (სტალინის ინსტიტუტი), ხუციშვილი (ტფ. სახ. კომ. უნივ.), მელნიკოვა.

—:—

სტალინის რაიკომის კულტპროპგანყოფილება იუწყება, რომ 25 სექტემბერს საღამოს სრულ 7 საათზე, სტალინის სახელობის კლუბში (პლეხანოვის 123) შესდგება თათბირი სკოლის შესახებ. თათბირს უნდა დაესწრონ სკოლის გამგეები დამხმარე საბჭოს და საწარმოების წარმომადგენლები.

—:—

25 სექტემბერს საღამოს 7 საათზე სტალინის სახელობის რაიკომის კულტპროპგანყოფილებაში მოწვეულია საღამოს საბჭოთა პარტსკოლების მსმენელების თათბირი, ქვემოდ ჩამოთვლილი უჯრედების მდივნებმა უნდა უზრუნველყონ მათ მიერ სკოლაში გაგზავნილი ამხანაგების დასწრება: საკინმრეწვის უჯრედის, ხიმწარმოს, მთავარი ფოსტის, კარიერის, სააფთიაქო საწარმოველოს, ფანერის ქარხნის და 1-ლი და მე-2 ჯგუფკომის.

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

თეთრი 8, 9-20, 10-40.	საზღვარგ. კომ. ბებიას შვილიშვილი პრ. გარ.—ჟურ. № 22.
დამკვრელი 8-30, 10-30.	მხატვრ. ფილმი ჯვარი და მაუზერი პრ. გარეშე—სადარაჯოზე № 7.
[illegible] 7-30, 9-20, 11	სათავგად. ფილმი აბრეკ ზაური პრ. გარ. რუსთ. თეატ. ჩასვლა ლენინგრ.
კომინტერნი (დიდუბე) 8-30, 10	მხატვრული ფილმი ა ლ ი მ პრ. გარ.—ჟურნალი № 15
ოქტომბერი 7, 8-45, 10-30	ხმ. კომედია მექანიკური [illegible] მთ. როლში იგორ ილინსკი
დამკვრელი 7-30, 9, 10-30.	საკინმრეწვის ნაწარმ. გუშაგალი პრ. გარეშე—სადარაჯოზე № 7
რ. ლიუქსემბურგის 7, 8-45, 10-30	მხ. ფილმი თავადის ასული მერი პრ. გარ.—მეცნ. და ტექნიკა № 7
სპარტაკი 7-30, 9, 10-30	საკინმრ. ნაწარმ. ორი მონადირე პრ. გარეშე—ჟურნალი № 23.
26-ის სახელობის (ავლაბარში)	საკინმრეწვის ნაწარმოები ბ ე ლ ა პრ. გარ.—ჟურნალი № 22
[illegible]	ფილმი მეთამბაქოობის შესახებ მზე ყვავილი
საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშვო ფილმი ცოცხალი [illegible]

25 ოქტომბრიდან

საკინმრეწვის კინო-თეატრებში:

კინო-თეატრი დამკვრელი

სეანსები ზამთრის შენობაში 7—30, 9, 10—30

ერთდროულად დროს საზაფხულო და ზამთრის შენობებში

ამერიკ. სათავგადასავლო ფილმი

კოვბოების ცხოვრებიდან

კონტრაბანდისტები ჩილიში

მთ. როლში ვილიამ ხორტი.

პროგრამის გარეშე

ჟურნალი საბჭოთა საქ. № 1.

კინო ოქტომბერი

გახმოვანებული ფილმი

მოჩვენება რომელიც არ მეორდება

რეჟისორი ა. როომი.

მთავარ როლებში

ბორის ფერდინანდოვი, ოლღა ჟიზნევა, ივანე შტრაუხი.

პრ. გარეშე—ჟურ. საბჭოთა ხელოვნება № 6 (ხმოვანი)

სეანსების დასაწ. 7, 9 და 11 ს.

25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია

სახელმწიფო აპარატზე სუშეფო მუშათა ბრიგადების, სახ. დაწესებულებებში სოცშემთავსებლების, საწარმოების, სახკომისარიატების და დაწესებულებების ხელმძღვანელების, კავშირების ცენტრალური გამგეობების და ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეების

საქალაქო შეკრება

დღის წესრიგი:

1. სახელმწიფო აპარატზე მუშათა შეფობის და მასში სოცშეთავსების ამოცანების შესახებ (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისია-მუშგლეხინის მოხსენება).

2. სახ. აპარატებში საშეფო მუშაობის და სოცშეთავსებლობის სრულიად საკავშირო კონკურსის დათვალიერების შესახებ, რომელსაც ატარებს სახ საალრიცხვო დარგის მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტი და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისია მუშგლეხინი და მასში პროფორგანიზაციების პრაქტიკული მონაწილეობის შესახებ (საქართველოში კონკურსის ჩამტარებელი ცენტ შტაბის თავმჯდომარის ამხ. **დავლიანიძის** მოხსენება).

შეკრებაზე ყველა ზემოთ დასახელებული ამხანაგის დასწრება სავალდებულოა

საქ. ცენტრ. საკ. კომისია-მუშგლეხინი.

სახ. აღრიცხვის მუშაკთა კავშირის ცენტრ.

ნ. 352 გამგეობასთან არსებული ცენტრ. შტაბი

საქართველოს დაუსწრებელი პედ. ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1934 წელს ინსტიტუტთან იარსებებს შემდეგი სექციები: 1. ქართული ენისა და ლიტერატურის, 2. ბიოლოგიური, 3. მათემატიკური, 4. ისტორიული და 5. პედოლოგიური სკოლის ასაკამდე აღზრდის.

განცხადებების მიღება იწარმოებს 25/9-დან 25/10-მდე (ტფილისი ლომინაძის ქ. № 5 დ. პ. ი.).

ინსტიტუტში ჩარიცხვის მსურველები ადგენენ შემდეგი საბუთების დედნებს და თითო შემოწმებულ ასლს: 1) საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობას, 2) დაბადების, 3) ცნობას სამსახურის შესახებ (ხელფასის აღნიშვნით), 4) ორ ცალ ფოტოგრაფიულ სურათს და 5) შემოწმებულ ანკეტას. (ანკეტებს გასცემს განათლების განყოფილება)

გამოცდები ჩატარდება: 1. მათემატიკაში (ზეპირი და წერითი), 2. ქართულ ენაში (ზეპირი და წერითი), 3. საზ. მეცნიერებაში (ზეპირი).

გამოცდები ჩატარდება: 1. ტფილისში (დ. პ. ი.), 2. ქუთაისში (პედ. ინსტიტუტში), 3. თელავში, 4. სენაკში, 5. ბათომში და 6. სოხუმში.

გამოცდები ყველგან დაიწყება 25 ოქტომბერს და დამთავრდება 5 ნოემბერს.

ქუთაისში—უნდა გამოცხადდენ: ქუთაისის, ტყიბულის, ჭიათურის, ზესტაფონის ხარაგაულის, ხონის სამტრედიის, ჩხარის, ვანის, ბაღდადის, ამბროლაურის ქ. სვანეთის და ცაგერის რაიონებიდან.

თელავში—თელავის, სიღნაღის, ლაგოდეხის, გურჯაანის და ყვარელის რაიონებიდან.

სოხუმში—აფხაზეთის ყველა რაიონებიდან.

სენაკში—სენაკის, ზუგდიდის წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის, ფოთის და აბაშის რაიონებიდან.

ყველა დანარჩენი რაიონებიდან მისაღებ გამოცდებზე ცხადდებიან ქალ. ტფილისში.

ჩარიცხულთა სია გადაეგზავნებათ რაიონებს.

მსმენელები წელიწადში იხდიან 60 მანეთს, თუ მათი თვიური ხელფასი არ აღემატება 100 მანეთს; 100 მან. ზევით ხელფასის მქონე კი წელიწადში იხდის 84 მანეთს

პირველი ნახევარი წლის სწავლის ქირა შემოტანილ უნდა იქნას 15 იანვრამდე, ხოლო მეორე ნახევრის კი 15 ივლისამდე.

მისამართი: ტფილისი, ლომინაძის ქ. № 5—დ. პ. ი.

განსახკომის კადრების სექტორის გამგე ქ. **ბერიძე**.

ნ. 348 დ. პ. ი. დირექტორი შ. **შიუკაშვილი**.

ლენინის 6 ტომეულის

II ტომი გამოვა

ოქტომბრის 1-ლ რიცხვებში და დაურიგდებათ ხელისმომწერლებს.

კლიენტებმა უნდა დააჩქარონ მორიგი 5 მანეთის შემოტანა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა

ნ. 343 ხელისმომწერის ბიურო.

სახ. ოპერა

საჭიროა ოთახები

ჩამოსული მსახიობებისათვის 8 თვის ვადით.

პირობებისათვის მიმართეთ სახ. ოპერის ადმინისტრატორს ამხ. **არაუჩიევს** დღისით 11-დან 3 საათამდე, საღამოთი 7-დან 9 საათამდე.

1479

ქ. სამტრედიის ექიმები რ. ნანეიშვილი, ი. ჯამი, ნ. ბეჟუაშვილი, პ. მიქელაძე, ი. მამფორია, დ. ჟორდანია, კ. ლასხიშვილი, ა. მიქაძე, გ. ჯვარიშეიშვილი, დ. შანიძე, ა. თაყაიშვილი, ა. შარაშენიძე და ნ. დუნდუა გამოვსთქვამთ ულრმეს მწუხარებას ამხ. ექიმის

გაბო ჯორბენაძის

უდროოთ დაკარგვის გამო. 483

განათლ. სახკომი

ნებართვით

ვამზადებთ

მოწაფეებს:

10 წლ. და 7-წლ. მოწმობისათვის. აქვე ვასწავლით ბუხჰალტერიას და კომერციულ გამონაგარიშებას **ბუხჰალტრის და მოანგარიშის** თანამდებობისათვის.

კარკარეთელის ქ. № 3 ა

კინო „ოქტომბრის" მახლობლად. დილ. 8-10 ს.

საღ. 4-6 ს. 10—3.

ექიმი ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები.

სახის ხილამაზის მოვლა

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აკერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22

ექიმი ქ. ნ. [illegible]

განაახლა ავადმყოფების მიღება (ვენერიული და კანის).

დილით 8—9, საღამოთი 7—8 საათ.

ბელგიის ქ. № 1 (მთავარი ფოსტის ახლო)

1454

მწუხარებაში მყოფი შვილები: ზინაიდა, ტატიანა და ვალა. ძმა გრიშა თელია ცოლშვილით მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი

დიმიტრი თელიას

გარდაცვალებას. დასაფლავება აბასთუმანში 24 სექტემბერს 465

გულდამწვარი მეუღლე სონია, დედა ანეტა, ძმები: კოლია, გრამიტო, რძლები: ლუბა, ნადია, ძმისწულები. დაი ვასასი, სიძე პლატონ ცინცაძე იუწყებიან

ექიმ გაბო სიმონის-ძე ჯორბენაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ლანჩხუთში 26 სექტემბერს. 2—2 442

დამწუხრებული დედა მარიამი, ძმები: დავითი, პავლე ცოლებით, და ნინა, სიძე პავლე ბარაბაძე ცოლი ლუსიკოთი იუწყებიან, რომ 24 სექტემბერს 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

პეტრე გოჩიტაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 482

26 სექტემბერს. დღის 12 საათზე, ახალსენაკში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ევგენი სალაყაიას

ხსოვნის აღსანიშნავად. რასაც იუწყებიან დამწუხრებულნი: ცოლი ნინუცა, დები: კუკუ და პაშა, შვილები: კოკი, ჩაქურა, თამარა და ოლია 471

დამწუხრებული მშობლები: ვასასი, სერგო, ძმები: სერიოჟა, გიგუშა, და ნინა, სიძე სერიოჟა ნელით არუთინოვები, ბაბუები: ალექსი, ვასილი, ბებიები: ეკა, ტასია დასტირით

ალიოშა მანაგაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება ხონში 24 სექტემბერს. 463

ძმები ნიკო, ლადო, სიკო, მათე ცოლშვილით, ვარო. ნადეჟდა შვილებით და სონა აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობებს დაუვიწყარ

კოტე გიორგის-ძე ახმეტელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 24 სექტემბერს, გამოსვენება მილიუტინის ქ. № 5, 5 ს. 475

დამწუხრებულნი შვილები: რუსუდანი, ირინე ქმარშვილებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს საყვარელ და მოამაგე მამის

კოტე გიორგის ძე ახმეტელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 24 სექტემბერს. გამოსვენება მილიუტინის ქ. № 5, 5 საათზე. 475

საქ. ყ/მ შენაერთის სად წარმოების მუშამოსამსახურეები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას ამავე წარმოების სახერხი ქარხნის მუშის ამხ.

დავით ბლიაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 24 სექტემბერს ნაშუადღევის 5 ს. 476

სამტრესტის 1-ლი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი გულითად თანაგრძნობას უცხადებენ ქარხნის დირექტორს ამხ. ვალიკო კახაძეს მისი უფროსი ძმის

მიხეილ კახაძის

გარდაცვალების გამო. 478

დამწუხრებულნი: მეუღლე კოლია მშობლებით, შვილი ციალა, რძალი ოლია, მაზლები: ბაგრატი, ვალია. მულები: მარგო, ნინო, ვერიჩკა, ელენა ხოსელიძეები იუწყებიან, რომ 24 სექტემბერს, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ

თამარა მგალობლიშვილი-ხოსელიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 441

სამტრედიის რაიმილიციის სამმართველოს თანამშრომლები უცხადებენ გულწრფელ თანაგრძნობას სამტრედიის რაიმილიციის უფროსს ამხ კაკო ბექაიას მისი

პატარა მარადის

გარდაცვალების გამო. დასაფლავება სამტრედიაში 24 სექტემბერს. 474

ვანო იორამაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ძვირფასი

თებრო იორამაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა სოფ. ბოდბისხევში 9 სექტემბერს. 472

დამწუხრებული ძმა სტიოპა ლეკიშვილი ცოლით, დები: პიტო მარო, პელო, იული და ბებია კესარია მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ

ნუნუ ლეკიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 ს. განთვის ქ. № 22. გამოსვენება 25 სექტემბერს 5 ს. 477

ღრმად დამწუხრებული ცოლი აღათი, შვილები ალექსანდრე და გოგოლა დოლიძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

სევერიან ერმილეს-ძე დოლიძე

დასაფლავება ს. განახლებაში (გურია) 28 სექტემბერს. 473

ქ. სამტრედიის და მისი რაიონის ექიმთა საზოგადოება ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ამავე საზოგადოების წევრ ექიმის

გაბო ჯორბენაძის

უდროოთ დაკარგვის გამო. 483

დამწუხრებული შვილები მარო. ევგენი ცოლით ოლია, შვილებით ელიკო, თისიკო, ჟორა და ვერიკო კემულარიები აუწყებენ საზოგადოებას მამის

ივანე კემულარიას

გარდაცვალებას, დასაფლავება სოფ. ხორშში 25 სექტემბერს. 484

ეკატერინე ნიკოლოზის ასული ჟღენტისა შვილებით: შურა და ნინათი იუწყებიან, რომ დღეს საღამოს 6 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი ქმრის და მამის

ალექსანდრე ალექსის-ძე ჟღენტის

ხსოვნის აღსანიშნავად. 462

ძმები კოლია და გრიგოლი, რძალი ხიხო ფირიაშვილები მწუხარებით იუწყებიან პირველთა დედის და მეორეს დედამთილის

პელაგია იმერლიშვილი-ფირიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 სექტ. 5 ს. გამოსვენება ცაბელის ქუჩიდან № 1, ვერის სასაფლაოზე. 470

ყვარელის რაიაღმასკომის და კომპარტიის რაიკომის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ყვარელის საბჭოთა მეურნეობის სააღმშენებლო ნაწილის ხელმძღვანელ ამხ. ნიკო ჟილაურს ერთად ერთი ქალიშვილის

თამარა ჟილაურის

უდროოდ დაკარგვის გამო 467

26 კომუნარების სახელობის რაისაბჭოს პრეზიდიუმი იუწყება ამხ.

ვალოდია ივანეს-ძე ხორბალაძი

ტრაგიკულად გარდაცვალებას. 466

ლ. ენუქიძე. ტ. პერჩიხი, ქ. კაციტაძე, ს. ყურულოვი, ზ. ესაიანი, არ. ტერგალუსტოვი, გ. ჭანკვეტაძე და ქ. კაკაურიძე მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ.

ვალოდია ივანეს-ძე ხორბალაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. 466

კულინარული წარმოების საფაბრიკო საქარხნო სკოლის მასწავლებლები, მოწაფეები და ტექნიკური თანამშრომლები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სკოლის მასწავლებლის ვასო ბეჟიაშვილის ძმის

ილიკო ბეჟიაშვილის

გარდაცვალების გამო. 461

წყალ-კანალტრესტის კანალიზაციის განყოფილების ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი მუშებთან ერთად მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე განყოფილების გამგის გიორგი ფირიაშვილის დედის

პელაგია იმერლიშვილი-ფირიაშვილის

გარდაცვალების გამო დასაფლავება 24 სექტემბერს 5 ს. ვერის სასაფლაოზე. 468

უახლოესი მეგობარი ისიდორე სიმონის-ძე თდიშვილი იუწყება

ვლადიმერ ხორბალაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. 469

ბიძაშვილები: ვაჟთ. რამაზი, გიგა ცოლშვილით, გიორგი და ელენა, ძალო თალიკო ახმეტელები მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას

კონსტანტინე გიორგის-ძე ახმეტელის

გარდაცვალების გამო 480

უახლოესი მეგობრები: სიმონ ქარაბაკი, ბიქტორ ბარბაქაძე, ბიქტორ ბუჯაძე, ლეო კოპალიანი, შურა სვანიძე, ელენა ქათამაძე ელენა სულაქველიძე მწუხარებას გამოსთქვამენ ვანო სხირტლაძის ცოლის

თინა წულაია-სხირტლაძის

გარდაცვალების გამო. 480

ღრმა მწუხარებას განვიცდით ბიძაშვილები: ალიოშა, ცოლი ელენა, შალიკო და პარმენი ახალგაზრდა საყვარელ

ნუნუ (ნინა) ლეკიშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. 480

იაშა, ანიკო ნიკოლაძეები თამარ ოყუჯავა, ტანიკო სამთელაძე ხადია, კატია ცხვირაშვილები გიორგი აბზიანიძე, ლევან კუჭაიძე, ვახტანგ ჩხეიძე, კოკი ყუფარაძე იუწყებიან საყვარელ მეგობრის იულიას დის

ნუნუ ლეკიშვილის

გარდაცვალებას. 481

დამწუხრებულნი ცოლი მარიამი მშობლები: ალექსი, ეკატერინე, ძმები: იოსები, ივანე და გიორგი ცოლშვილით და ვარია ქმრით იუწყებიან

სოლომონ ალექს.-ძე ნასყიდაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ს. საბჭოს ქ. № 54. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 479

ბიძია ლეო, ბიცოლა ნუნუ ზორაძეები, დეიდა ქეთო ბიძა ლუტუშა და დეიდაშვილი ლამარა რევიშვილები დასტირით

პაწია ნელიკო ბიბილეიშვილის

უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა ქ. ბათომში 24 სექტემბერს. 467

სტამბა „კომუნისტი". კამოს ქ. 68.

მთავლიტის რწმუნებული ა 1463